# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 12 დეკემბერი, 2013 წელი.

№240 (7368)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## სულიერად კუზიანთა ვნებანი



რამდენადაც ფიზიკური ნაკლის მქონენი იწვევენ ადამიანთა თანაგრძნობა-თანადგომას, იმდენად აუტანელნი არიან შინაგანად მახინჯნი ②

## ფაქტია, რომ მთავრობის გადაწყვეტილებაზე გავლენა პატრიარქის განცხადებამ მოახდინა ③

## ნაცები კიევში მართლა საქართველოს წარმოადგენდნენ და არა ნაცმოძრაობას? ⑤

## სკანდალური მასალა რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების შესახებ ②



## პროკურატურამ ლაშა ნაცვლიშვილის წინააღმდეგ შეტანილი განცხადების შესწავლა დაიწყო ⑥



## „აბრეშუმის დიდი გზის“ მემკვიდრეები ④

## მეწარმეობის მიმართ ხელისუფლებისა და ხალხის ნდობის თავისებურებები ⑦

## თანამემამულეებს სწირავენ



⑦

## საქართველო და უკრაინა ⑧

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ცოდვის შვილები

# სულიერად კუზიანთა ვნებანი

**რამდენადაც ფიზიკური ნაკლის მქონენი იწვევენ ადამიანთა თანაგრძნობა-თანადგომას, იმდენად აუტანელნი არიან შინაგანად მახინჯნი**

**კუზიანს მართლაც მხოლოდ სამარე გაასწორებს, მათ შორის სულიერად, შინაგანად კუზიანებსაც, ცხადია, ანუ ისეთებს, როგორებიც, სამწუხაროდ, საკმაოზე მეტნიც გვყავნან თუნდაც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს უმცირესობაშიც და, როგორც თავადაც ხაზ-**



**გასმით აღნიშნავენ, მთავარ ოპოზიციურ პარტიაშიც.**

უფრო სამწუხარო კი ის გახლავთ, რომ ასეთები არც საპარლამენტო უმრავლესობაში არიან თითზე ჩამოსათვლელ-სანთლით საძებნელნი და არც ე.წ. დემოკრატ არასამთავრობოებსა თუ ლამის ყოვლისმცოდნე ექსპერტებში.

**ღმერთმა დამიფაროს, მათთვის სამარე ვისურვო, მაგრამ პოლიტიკურ საფლავში თუ ნაგავსაყრელზე კი სიამოვნებით მივუჩენდი ადგილს.**

აი, თუნდაც **თამარ კორძაიას,** ამ უშნოდ ატროკებულ ყოფილ არასამთავრობოელსა და ამჟამინდელ პარლამენტარს, რომელიც დეპუტატის მანდატს საკუთარი ყურებივით ვერ იხილავდა, ბატონ ბიძინა ივანიშვილს რომ არ ეთქვა ტელევიზიით შუალედურ საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, — **თამარ კორძაია „რესპუბლიკური პარტიის“ კი არა, პარტია „ქართული ოცნების“ წევრიაო** (არაფერს გეუბნებათ, მკითხველო, ის ფაქტი, რომ ბატონმა ბიძინამ ამის ხაზგასმით აღნიშვნა ჩათვალა არამცთუ საჭიროდ, არამედ აუცილებლადაც? — **რ.რ.**).

ამიტომაც აირჩიეს ნაძალადევლებმა, მაგრამ რაკი სამარემდე შორია, იგი შინაგანად მაინც კუზიანად, „რესპუბლიკური პარტიის“ წევრად დარჩა, რომელსაც ყოფნის სითავხედე, რომ თვით კათოლიკოს-პატრიარქზეც კი „ილადაოს“ — **ხომ არ აჯობებდა, ერთი საპარლამენტო მანდატი პატრიარქისთვის გადაგვეცაო!**

აქამდე არ ჩამითვლია საჭიროდ, გამოვხმაურებოდი ამ თუთბერიძის ნახევარდა არარაობის გაუგონარ სითავხედე-ცინიზმს, რომელმაც სცადა, შეურაცხყოფა მიეყენებინა მისი უწმინდესობისა და უნეტარესობისთვის — მეორე ილიასთვის.

**დიახ, სწორედაც რომ, მეორე ილიასთვის, როგორადაც მისი უდიდესი ღვაწლისთვის სამართლიანად მიიჩნევს მას სრულიად საქართველო სულიერად კუზიანთაგან განსხვავებით!**

— რა მოხდა ისეთი, ვიხუმრე და რა აურზაური ატეხესო, — გაკვირვება გამოუთქვამს თავისი მკრეხელური გამონათქვამ-პოზიციის გამო ხალხის მკვეთრი რეაქციით შეცბუნებულ ამ სულიერად კუზიანსა და შინაგანად კვლავაც „რესპუბლიკელს“.

**...„მოვუწოდებ შს მინისტრს, ხშირად ჩაატაროს რეიდები დამნაშავე „ნაციონალების“ დასაცავად, სადმე არ გადაგეყარონ თქვენს მიერ ნამუსახდილი ადამიანები და არ გამოიყენონ თქვენი სიმბოლო — ცოცხი და „დუბინკა“...**

ფიზიკურადაც და სულიერადაც ერთნაირად ჯანსაღ სოსო ჯაჭვლიანის მიერ პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე ნათქვამმა ამ სიტყვებმა ამაღებინა კალამი.

**ვეთანხმები მას: დროა, ყველას თავისი ადგილი მიეჩინოს, რაკი ამ ადგილს მათთვის განკუთვნილად არ მიიჩნევენ!**

მაგრამ რახან სამარემდე (პოლიტიკურამდე, ცხადია!) ჯერაც შორია, გამწარებული ხალხისგან ამ დამნაშავეთა დაცვაა საჭირო, რათა ისინი არ „შემოეხარჯოთ“.

**მონანიებითა და აღსარება-ზიარებით იქნებ გეშველოთ რამე, თქვე ცოდვის შვილებო!**

**დიახ, სწორედ ამით, და არა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასა თუ მის პატრიარქზე შეურაცხმყოფელი გამონათქვამებით, რითაც ცოდვები კიდევ უფრო დაგიმძიმდებათ და ხალხსაც მეტად შეზარდებით!**

**რუსლან რუსია**

ინფორმაცია

## ჯაფარიძემ ბრიტანეთის ელჩობაზე უარი განაცხადა

**თედო ჯაფარიძის** უარის შემდეგ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბრიტანეთში ელჩად ახალი კანდიდატი შეარჩია. ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ჟურნალისტებს ბრიუსელში გამგზავრებამდე განუცხადა.

— ჩვენ ბოლო წუთამდე იმედი გვქონდა, რომ ბატონი თედო ჯაფარიძე დაგვთანხმდებოდა ბრიტანეთში ელჩობას. მან სხვა გადაწყვეტილება მიიღო, ამიტომ, ახლა სასწრაფო რეჟიმით შევარჩიეთ სხვა კანდიდატურა, რომელზედაც, როგორც გითხარით, პროცედურის დასრულების შემდეგ შეგატყობინებთ, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

მისივე თქმით, ესტონეთში ელჩობის კანდიდატს ოჯახური პრობლემები შეექმნა და არ შეუძლია საქართველოს დატოვება.

— შესაბამისად, ახალი კანდიდატურა უკვე შერჩეულია. მაგრამ მისი კანდიდატურის განხილვაც არის ჯერჯერობით პროცესში, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

— 7 ქვეყანაში საქართველოს უკვე ეყოლება ახალი ელჩები. ეს ქვეყნებია: გერმანია, ჩინეთი, ბულგარეთი, უზბეკეთი, იორდანია, ირანი და იაპონია. ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ დიპლომატიური კორპუსი არის დაკომპლექტებული, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

მისივე განმარტებით, დანიშნული ელჩები ელოდებიან შესაბამისი ქვეყნებიდან აგრემანს.

## ალექსი ჭიკაიძე ერაყის ელჩს შეხვდა

**საქართველოს** შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ გაცნობითი შეხვედრა გამართა ერაყის ელჩ ბაქირ აჰმედ ალ-ჯაფთან.

შსს-ს ინფორმაციით, ერაყის ელჩმა ალექსანდრე ჭიკაიძეს მინისტრად დანიშვნა მიულოცა და აღნიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან წარმატებული თანამშრომლობა.

მხარეებმა განიხილეს არსებული ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები და სამომავლო გეგმები.

მინისტრმა ისაუბრა ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე ხელოვნურად აღმართული ბარიერების შესახებ და აღნიშნა, რომ ეს გარემოება აუარესებს როგორც ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებად, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს.

## პრეზიდენტი გამსახურდია წამებით მოკლეს?

**უფლებადამცველთა** გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მიზეზების გამოძიებას ითხოვს.



„რეპორტიორში“ გამართულ ბრიფინგზე, მჟავანაძემ 2009 წელს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტების დადგენის მიზნით შექმნილი საპარლამენტო კომისიის დასკვნის შესახებ ისაუბრა. მჟავანაძის თქმით, ამ დასკვნით დასტურდება, რომ პრეზიდენტი გამსახურდია წამებით მოკლეს. კერძოდ, პრეზიდენტ გამსახურდიას ნეკნების 9 მოტეხილობა, ასევე თავის არეში დაზიანება აღენიშნება.

აღნიშნული საპარლამენტო კომისიის დასკვნის საფუძველზე, მჟავანაძე ითხოვს მთავარ პროკურორს შეხვდეს, რომ საქმის გამოძიება დაიწყოს. მჟავანაძის თქმით, წინააღმდეგ შემთხვევაში, საპარლამენტო კომისიის შექმნას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

უფლებადამცველი აღნიშნავს, რომ სააკაშვილს სურდა ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმის გამოძიება, თუმცა, შემდეგ ეს საქმე შეჩერდა. მისივე თქმით, ბოლო პერიოდში საუბარია, რომ ჟვანიას გარდაცვალების საქმის გამოძიება მოხდება და ასევე არანაკლებ მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ ზვიად გამსახურდიასთვის პატივის მისაგებად, მისი საქმე გამოიძიონ.

**ინტერპრესი**

სხვა გაზეთიდან

# სკანდალური მასალა რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების შესახებ

**შვედური გაზეთი** Svenska Dagbladet **სკანდალურ ინფორმაციას აქვეყნებს.** www.sverigesradio.se**-ზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, შვედეთის ეროვნულმა რადიოსაკომუნიკაციო სამსახურმა აშშ-ზე ადრე იწინასწარმეტყველა, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყებოდა. ამის თაობაზე შვედეთის დაზვერვის სამსახურზე დაყრდნობით წყარომ გაზეთ** Svenska Dagbladet**-ს განუცხადა. „პირველი“ გთავაზობთ აღნიშნულ სტატიას:**

„საქართველოში ომი 2008 წლის აგვისტოში, მკვეთრი რიტორიკისა და სამხედრო მილიტარიზაციის შემდგომ პერიოდში დაიწყო.

„ჩვენ დავინახეთ, როგორ გადაადგილეს რუსებმა სამხედრო შენაერთები და როგორ მიჩუმდა ყველაფერი. ეს ნიშნავდა, რომ უკვე ყველაფერი ადგილზე იყო და დარტყმისთვის საბოლოო მზადება მიმდინარეობდა. ჩვენ ვიცოდით, რომ რუსეთი შემოვიდოდა საქართველოში. ამავე დროს, აშშ-მა განსხვავებული დასკვნა დადო: ომი არ მოხდება“, — აცხადებს წყარო.

Svenska Dagbladet-ის ინფორმაციით, შვედეთის ეროვნული სადაზვერვო სამსახური უთვალთვალებდა როგორც რუსეთის პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას, ისე რუსეთის დაზვერვისა და კონტრდაზვერვით სამსახურებს.



წყაროებმა ასევე განაცხადეს, რომ შვედეთის ეროვნული რადიოსაკომუნიკაციო სამსახური იძიებდა რუსეთის სხვა ქმედებებს, რომლებიც „დიდად მნიშვნელოვანია შვედეთის ინტერესებისა და პოლიტიკისთვის“.

ე.წ. შვედეთის ეროვნული რადიოსაკომუნიკაციო სამსახურის 2009 წლის კანონმა შვედეთს შესაძლებლობა მისცა, ხელში ჩაეგდო (შვედურ კაბელებში მოძრავი) რუსეთის ყველა სატელეკომუნიკაციო საშუალება.

„ბევრი სხვა დასავლური ქვეყნისგან განსხვავებით, შვედებს 1993 წელს თვალთვალი არ შეუწყვეტიათ. ეს ნიშნავდა, რომ შვედებს10 წლით ადრე ჰქონდათ წინასწარი ძირითადი უფლებამოსილებები, ისევე, როგორც აშშ-ს და დიდ ბრიტანეთს, როცა ისინი დაინტერესდნენ რუსეთით 2000 წელს და შემდეგშიც“, — აცხადებს წყარო.

შვედეთის ტელევიზიამ ასევე ხელში ჩაიგდო აშშ-ის ეროვნული უშიშროების სააგენტოს დოკუმენტები ედუარდ სნოუდენის მეშვეობით, რაც შვედეთის დაზვერვის მაღალ ხარისხზე მიუთითებს.

შვედეთის ტელევიზიამ დაადგინა, რომ შვედეთის ეროვნული რადიო საკომუნიკაციო სამსახური რუსეთში სამოქალაქო ობიექტებზეც აწარმოებს დაკვირვებას, მათ შორის ენერგეტიკის სფეროზე, ასევე ბალტიისპირეთის ქვეყნებზე, რათა ეს ინფორმაცია აშშ-ს გაუზიაროს.

დღეს ბევრი რუსული კომპანია მოღვაწეობს ბალტიისპირეთში, როგორც რუსეთის სპეცსამსახური.

ლიტვის თავდაცვის მინისტრი არტის პაბრიკსი არა თუ არ შეშფოთებულა შვედეთის ეროვნული რადიოსაკომუნიკაციო სამსახურის მიერ ჩატარებული ოპერაციებით, არამედ, მისი მადლიერი დარჩა.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირსა და ნატოში ჩვენი მოკავშირეები აქაური პირობების შესახებ ინფორმირებულნი არიან“, — განუცხადა პაბრისმა შვედეთის ტელევიზიას.

**ნინო ცაგოლოვი**



# ფაქტია, რომ მთავრობის გადაწყვეტილებაზე გავლენა პატრიარქის განცხადებამ მოახდინა

**დავით ნარმანიას უწყება დათმობაზე მიდის — გუბერნატორებთან არსებულ საბჭოს, რომელიც მუნიციპალიტეტთა რეგიონულ გაერთიანებას ქმნის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი არ მიენიჭება და ის საკონსულტაციო ორგანოდ ჩამოყალიბდება.**

**აღნიშნული გადაწყვეტილების თაობაზე განცხადება მმართველი გუნდის წარმომადგენლებმა გია ჟორჟოლიანმა და დავით ბერძენიშვილმა საკომიტეტო მოსმენისას გააკეთეს და პარლამენტში თვითმმართველობის კოდექსის განხილვა მეშვიდე კარის სადავო ნორმების ჩასწორებით დაიწყო.**

გია ჟორჟოლიანის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, რომ საკონსულტაციო ორგანოში იყოს არა პოლიტიკური წარმომადგენლობა, რაც მთავრობის პროექტის მიხედვით, მასში მუნიციპალიტეტებიდან არჩეული წევრების შეყვანას გულისხმობს, არამედ ექსოფიციო წევრები.

**„ექსოფიციო წარმომადგენლები შეიძლება იყოს გამგებელი, საკრებულოს თავმჯდომარე ან მოადგილე, რითაც საბჭოს პოლიტიკური წარმომადგენლობის შინაარსი გამოეცლება და საკონსულტაციო ორგანოს ფუნქცია ექნება. ანუ, ცენტრალური ხელისუფლება თავის უფლებამოსილებას გუბერნატორის მეშვეობით განახორციელებს, ხოლო გუბერნატორი დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას კონსულტირებას ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან გაივლის. ეს იქნება ორგანო, რომელიც გუბერნატორის მიერ მთავრობის მიერ დაკისრებული უფლებამოსილებების განხორციელებისას, სათათბირო ფუნქციას გასწევს. ამ ორგანოს არ ექნება ფუნქცია, შეაჩეროს, ან სადავო გახადოს გუბერნატორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები“,** — განმარტავს ჟორჟოლიანი, დავით ბერძენიშვილი კი წინადადებით გამოდის, რომ გუბერნატორებთან არსებული საკონსულტაციო საბჭოები შეიქმნას.

დავით ბერძენიშვილის შეფასებით, მისი წინადადება ოპტიმალური ფორმაა და ამ ნორმით, თვითმმართველობის წარმომადგენელთა რანგი და ფასი გაიზრდება.

**„ანუ გუბერნატორთან კონსულტაციების გასამართად მაღალი ნდობის მქონე პირები წავლენ. ფორმირების ეს წესი, კანონპროექტში წარმოდგენილი ნორმისგან განსხვავდება. რეგიონების დონეზე სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების ჩამოყალიბება უკეთესი ვერსიაა, იმიტომ, რომ თვითმმართველობაში ყველაზე მაღალი ნდობის მქონე არჩეული პირები გუბერნატორის საკონსულტაციო ორგანოში, საკუთარი ინტერესების დამცველები იქნებიან“,** — განაცხადა ბერძენიშვილმა, რომელიც სეპარატიზმის საფრთხეს როგორც თავის წინადადებაში, ისე მთავრობის მიერ წარდგენილ ვერსიაშიც ვერ ხედავს, რომლის გათვალისწინებითაც, მუნიციპალიტეტების რეგიონულ გაერთიანებად სახელმწიფო რწმუნებულის — გუბერნატორის ინსტიტუტი ყალიბდება, რომლის ფუნქციებიც არსებითად იცვლება და მისი უფლებამისილება იქნება — შესაბამისი ტერიტორიის განვითარების სტრატეგიის შექმნა და დამტკიცება, მის მართვაში გადაცემული საავტომობილო გზების მართვა, მის მართვაში შემავალი სხვადასხვა სახის კულტურული დაწესებულებების მოვლა-შენახვა, გაერთიანებაში შემავალი მუნიციპალიტეტების მყარი ნარჩენების გადამუშავება და უტილიზაცია.

ბერძენიშვილის თქმით, სეპარატიზმზე საუბარი „ყურით მოთრეული“ თემაა.

**„სეპარატიზმი არც იმ ვერსიაში განიხილებოდა და არც ახალ წინადადებაში. თუ ვინმეს სეპარატიზმის ყურით მოთრევა სურს, არ ვიცი. სეპარატიზმის თემა არასერიოზული იყო, მაგრამ უკეთესი და ოპტიმალური ფორმა გამოვნახეთ, რომლითაც თვითმმართველობის წარმომადგენელთა რანგი და ფასი გავზარდეთ და გუბერნატორთან კონსულტაციაზე მაღალი ნდობის მქონე პირები წავლენ“,** — აღნიშნავს ბერძენიშვილი, რომელიც განმარტავს, რომ თვითმმართველი ქალაქების გამოყოფა თავდაპირველად იმ ქალაქებიდან დაიწყება, სადაც გუბერნატორები არიან.

მისი ინფორმაციით, თვითმმართველი შვიდი ქალაქია, რომლის სადღეისოდ არსებულ ხუთ თვითმმართველ ქალაქს დაემატება და ჯამში, რეფორმის პირველ ეტაპზე, 12 თვითმმართველი ქალაქი იქნება.

დავით ბერძენიშვილის მსგავსად, კოდექსში სეპარატიზმის საფრთხეს ვერ ხედავს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი.

**„მთავრობის პროექტი კარგად არის დამუშავებული, მათ შორის — უსაფრთხოების კუთხით. შესაბამისად, ასეთი საფრთხეები არ ყოფილა. გვესმის, რომ ნებისმიერი სიახლე გარკვეულ კითხვის ნიშნებს ქმნის. საბჭოს მოდელი, მთავრობის მიერ შემოთავაზებული რედაქციის მიხედვით, თავისი შინაარსით საკონსულტაციო ორგანოა. მასში საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი მთავრობას აქვს, მაგრამ რაკი ეს ტერმინოლოგიური გაურკვევლობები არსებობს და რადგან ჩვენთვის მთავარი ამოცანა კონსულტაციების არსებობაა, მზად ვართ, განვიხილოთ კანონპროექტის კორექტირების საკითხი. ამ შემთხვევაში საუბარია სამხარეო საკონსულტაციო საბჭოზე და შესაბამისად, ეს იყოს მექანიზმი, რომლითაც არ გვექნება ერთპიროვნული მმართველობა იმ ნაწილში, რაც რეგიონულ საკითხებს ეხება“,** — აცხადებს მინისტრის მოადგილე.

იქედან გამომდინარე, რომ პარლამენტის შეთავაზებები შეთანხმებულია მთავრობასთან, პაკეტში წინადადება მიმდინარე კვირას აისახება, რასაც საპარლამენტო ოპოზიცია დადებითად აფასებს, არასაპარლამენტო კი ხელისუფლებას მოუწოდებს, ცვლილებების კორექტირება მოკლე ვადებში უზრუნველყოს, რადგან მათი ცნობით, თვითმმართველობის არჩევნებამდე ექვსი თვეა დარჩენილი და არჩევნები საფრთხის ქვეშ დადგება.

როგორც for.ge-ს „ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ვეფხვაძემ განუცხადა, კარგია, რომ ხელისუფლება დათმობაზე წავიდა, გუბერნატორთან არსებულ ორგანოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი აღარ ექნება და ამით ქვეყნის სეპარატიზმის საფრთხე გაჩერდა.

**„მეორე პრობლემაა ის, რომ ყველა სოფელმა პირველი პირი აირჩიოს. ამას ვუწოდებთ გამგებელს, მამასახლისს თუ რწმუნებულს, ეს — სულერთია. ამას გარდა, თვითმმართველი ქალაქების ბედი გაურკვეველი ხდება და ხაშურელს ვერ ავუხსნით, თუ რატომ უნდა იყოს ამბროლაური თვითმმართველი ქალაქი, ხოლო ხაშური — არა. ამას გარდა, ხელისუფლებას ვალდებულება აქვს, ჩაატაროს ნორმალური არჩევნები და როცა არ ვიცით, თუ რა რჩება თვითმმართველი ქალაქების გამოყოფის შემდეგ და როგორ ვირჩევთ თვითმმართველობას, ეს კარგის მომტანი არ იქნება. არჩევნებამდე ექვსი თვე დარჩა და ეს ყველაფერი, გონივრულ ვადებში უნდა მოაგვარონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა მათ დაეკისრებათ“,** — ამბობს ვეფხვაძე, რომლის მსგავსადაც, კოდექსის მეშვიდე კარის კორექტირებას მიესალმება „ახლების“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა კაციტაძე.

for.ge-სთან საუბარში კაციტაძე აცხადებს, რომ კოდექსში რეგიონალური გაერთიანება და საზოგადოებრივი საბჭოები აღარ იქნება, რაც კარგია.

**„პირველი მოსმენისთვის, მსგავსი დათმობა პოზიტიურად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, პროცესს თვალყურის მიდევნება სჭირდება. ფაქტია, რომ ოპოზიციის აქტივობამ ფუჭად არ ჩაიარა. ასე იქმნება პროდუქტი და არა ისე, რომ სამი კაცი რომელიმე კაბინეტში საუბრობდეს. ამას გარდა, გარკვეული მსჯელობა გვქონდა ფისკალურ დეცენტრალიზაციაზე, მაგრამ ამ მხრივ, არ არის სიმკვეთრეები, რაც ცუდია“,** — აცხადებს კაციტაძე.

რაც შეეხება საპარლამენტო უმცირესობის პოზიციას, ნაციონალები მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევას მიესალმებიან, მაგრამ კანონპროექტის დახვეწას მოითხოვენ, რადგან მიიჩნევენ, რომ რიგი მიმართულებები გაურკვეველ ნორმებად რჩება.

სერგო რატიანის აზრით, კოდექსში ბევრი საკითხი დასაზუსტებელია.

**„კანონპროექტი სერიოზულ დახვეწას მოითხოვს. გაუგებარია ამ კანონის ფინანსური უზრუნველყოფა და გაუგებარია, რომელიც თუ რა მიზანს ემსახურება უბნის საბჭოები. მუშაობა უნდა გაგრძელდეს“,** — განუცხადა for.ge-ს რატიანმა.

ცვლილებების პირველი მოსმენით განიხილვა პარლამენტში დღეს დაიწყო და არ არის გამორიცხული, საკანონმდებლო პაკეტში რამდენიმე ჩასწორება განხორციელდეს.

თავად პროექტით კი, თვითმმართველი ერთეულების რაოდენობა 69-დან 120-მდე იზრდება. თვითმმართველი ქალაქის სტატუსი 12 ქალაქს მიენიჭება, ხოლო მათ მიმდებარე სოფლებისგან მუნიციპალიტეტები შეიქმნება. ასევე, მერს და გამგებელს მოსახლეობა პირდაპირი წესით - სამი წლის ვადით აირჩევს. აღნიშნული ვადა 2017 წლიდან შეიცვლება და ისინი ოთხი წლის ვადით იქნებიან არჩეული. ამასთან, წინადადებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური რესურსები მნიშვნელოვნად გაიზრდება ე.წ. წილობრივი გადასახადის ხარჯზე. ამას გარდა, 2014 წლიდან 2017 წლამდე შემცირდება ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა, რადგან თითოეულ მუნიციპალიტეტში 500 ამომრჩეველზე ერთი საშტატო ერთეული იქნება განსაზღვრული. მთავრობის პროგნოზით, დღეს დასაქმებულთა რიცხვი დაახლოებით 14 ათასს აღწევს, ხოლო რეფორმის შემდეგ იგი 3 ათასით შემცირდება. 2017 წლის შემდგომ კი ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა კვლავ 14 ათასს გაუტოლდება.

ამას გარდა, პროექტით, არსებითად იცვლება გუბერნატორის ფუნქციები. თუ კი დღევანდელი მდგომარეობით, გუბერნატორის ინსტიტუტის ძირითადი უფლებამისილება თვითმმართველობის ორგანოებზე სამართლებრივი ზედამხედველობის განხორციელებაა, რეფორმის შემდეგ ეს ფუნქცია რეგიონული განვითარების სამინისტროს კომპეტენციაში გადადის.

მართალია, დავით ნარმანიას უწყების პოზიციის ცვლას ოპოზიცია საკუთარ აქტივობას უკავშირებს, მაგრამ **ფაქტია, რომ მთავრობის გადაწყვეტილებაზე გავლენა პატრიარქის იმ განცხადებამ მოახდინა,** როდესაც ბრძანა, რომ **„პარლამენტი და ხელისუფლება მსჯელობს თვითმმართველობის კანონზე და ეს თუ განხორციელდა, ჩვენ მივალთ საქართველოს დაშლისაკენ და რღვევისკენ. ჩვენ არასდროს არ შევურიგდებით ამას და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს არ შესრულდეს“.**

**თეონა მანაგაძე**

## კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

**● თურქი საზიზღარია, რუსი ოკუპანტია, აზერბაიჯანელი თათარია, სომეხი ხომ ისედაც სომეხია, ევროპა — ლგბტა, აზია ფუნდამელისტ ფანატიკოსია, ამერიკა სატანურია. ვახ, როგორ მიხარია, რომ მე არც ერთი ამათგანი არ ვარ. ისე უზენაესს კი შავჩივლებ, უკეთესს გალაქტიკაში რატომ არ მოგვახვედრა ეს ღვთის რჩეული, ყველაზე კარგებ-კეთილებ...**

**● ბერკუტმა დაიძახა — კლიჩკოს რაა?**

**● გასტრონომთან პივაც დაულევია, თევზიც მიუყოლებია, გვერდულად სპიჩკის ღერიც დაუღეჭია, სველი, დახვეული ცხვირსახოციც ჩაუფენია კისერში, ჯოკერში სხვის გასახიშტად პასიც უთქვია და ბოლოს მეობის ამბავში მაინც გაუტანებია — დაშლო? მეტი რა ქნას ამ კაცმა?**

**● ბიჭოოოოო, ეს დედააფეთქებული ევროკავშირი თუ ასე ღელავს უკრაინაზე, მაშინ გამობრძანდეს და თქვას, რომ უკრაინას იღებს ევროკავშირის შემადგენლობაში სასწრაფო წესით.**

**● ქეცბაიას კომენტარი ხომ არ იცით სადმე, მაიდანის მოვლენებთან დაკავშირებით?**

**● საქართველოში რაინდები უფრო მეტი გვყავს, თუ კონა მწვანილი?**




**● ერთი რამე მინდა ვთქვა ძალიან ბევრი ადამიანის გასაგონად, რომლებიც გაოგნებულები სვამენ კითხვას, რატომ ხდება, რომ ევროპა უკრაინაში მიტინგის დარბევას დემოკრატიის დასასრულად თვლის და 2011 წლის 26 მაისს ხმა თითქმის არავის არ ამოუღია? იცით რაშია საქმე, ჩემო კარგებო? 2011 წლის 26 მაისზე სიმართლეს ევროსტრუქტურებში მხოლოდ ოთხი კაცი ვაწვდიდით, მე, ირმა ინაშვილი, ნინო ბურჯანაძე და თქვენ რომ რესპები არ მოგწონთ, იმ რესპების თინიკო ხიდაშელი და თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინ 2011 წელს ზუსტად იმ ლობისტებს ვეომებოდით ევროსტრუქტურებში, რომლებიც 26 მაისის გახმაურებას ებრძოდნენ და რომლებიც ახლა უკრაინის ამბებს ადამიანის უფლებათა დარღვევად და დემოკრატიის სიკვდილად წარმოუდგენენ მსოფლიოს...**

**● დეზინფექცია, აი, რა სჭირდება ქართულ ჟურნალისტიკას!**

**● რა გატეხილში არიან ნაცები, ალბათ, ზედმეტი ჰაი-ჰუის და ცემა-ტყეპის გარეშე რომ დაშალეს აქცია კიევში!**

**● მე ვარ ქართველი და მაშასადამე, ქართველი! მოკლედ, ვიმხობ „უშანკას“, ჩავდგები „ვალინკებში“ და გავდგები გარეთ. ვითომ მაიდანზე ვარ. უფრო მძაფრი განცდები მექნება.**

**(პასუხი) ჩავიცმევ შავ ფორმას, დავიხურავ ჩაჩქანს, ვითომ ბერკუტი ვარ. მოვალ და მძაფრი განცდები მერე უფრო იქნება!**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძემ**

მეგზეველთა დღე საზეიმო სხდომით აღინიშნა

# „აბრეშუმის დიდი გზის“ მემკვიდრეები

**10 დეკემბერი მეგზეველებმა გრანდიოზულად იზეიმეს. ვინაიდან უმნიშვნელოვანესია ქვეყნის მშენებლობაში მათი შეტანილი წვლილი, მეგზევეთა დღე უკვე რამდენიმე წელიწადია აღინიშნება, თუმცა, წლეულს მას განსაკუთრებული დატვირთვა მიეცა.**

ამ დღესთან დაკავშირებული ცერემონია ყოველთვის თბილისში ტარდებოდა ხოლმე, ამჯერად კი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, გზების დეპარტამენტისა და მეგზევეთა საზოგადოების ერთობლივი გადაწყვეტილებით ღონისძიება კახეთში, გურჯაანში, კაჭრეთის ამბასადორში ჩატარდა. მიწვეულნი იყვნენ სტუმრები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან. საინტერესო სხდომის გამართვის შემდეგ მეგზევეები საპატიო სიგელებითა და შესაბამისი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

დაჯილდოვდნენ ის წარმატებული კომპანიები, რომლებმაც კარგად შეასრულეს სამუშაოები, სიგელები გადაეცათ საგზაო-სამშენებლო კომპანიების თანამშრომლებს, ვეტერან მეგზევეებსა და დეპარტამენტის თანამშრომლებს.

საქართველოს მეგზევეთა საზოგადოებამ თავის მხრივ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოვა. მასთან ერთად, დაჯილდოვდნენ მინისტრის ყოფილი მოადგილე შოთა მურღულია და ახალი მოადგილე გიორგი ამაშუკელი. საზოგადოებამ, ასევე, დააჯილდოვა საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით შავლიაშვილი და მისი მოადგილეები: ნუგზარ გასვიანი, იოსებ ქადაგიშვილი და ირაკლი ლითანიშვილი.

ღონისძიებაზე განსაკუთრებით აღინიშნა ის ფაქტი, რომ საგზაო სფეროს წელს რვა ახალგაზრდა დოქტორანტი ჰყავს. როგორც ცნობილია, ეს სფერო მაინცდამაინც მიმზიდველი არ იყო აბიტურიენტებისთვის, მაგრამ ბოლო წლებში ამ დარგზე მოთხოვნილება გაორმაგდა. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მსოფლიო ბანკმა დააფინანსა ტექნიკური უნივერსიტეტის ორი ფაკულტეტი – გზებისა და აეროდრომების მშენებლობისა და ხიდებისა და გვირაბების მშენებლობისა. შეუძინა აღჭურვილობა, სახელმძღვანელოები და სხვა საჭირო ინვენტარი.

**საქართველოს მეგზევეთა საზოგადოების თავმჯდომარე თამაზ შილაკაძე:**

„მეგზევეთა დღის აღნიშვნა 1966 წლიდან დაიწყო, რასაც საფუძველი ჩაუყარა მინისტრმა გიორგი რობიტაშვილმა. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, ცოდნა და გამოცდილება საქართველოს საავტომობილო გზების სრულქმნასა და განვითარებას შეალია. მას შემდეგ ყოველი შემოდგომის ბოლოს თავს ვიყრიდით მეგზევეები, ბოლო 10 წელიწადია, მყარად აღვნიშნავთ 10 დეკემბერს – მეგზევეთა დღეს.



თამაზ შილაკაძე აჯილდოებს დავით ნარმანიას.

მართლაც, ძალიან მნიშვნელოვანი პროფესია გვაქვს, ვინაიდან უდიდესი პასუხისმგებლობა გვეკისრება მომავალი თაობის წინაშე. კარგია, რომ გზების მშენებლობა ინტენსიურად გრძელდება და ბევრი ახალი ობიექტი შევიდა ექსპლუატაციაში. ახალმა მინისტრმა უპირველესი ყურადღება მიაქცია გზების ხარისხს, ბითუმთან დაკავშირებით მოთხოვნა გამკაცრდა, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია ინსტრუქციების, ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება. 500-მდე რეგლამენტია დასამუშავებელი, უნდა შეიქმნას გეგმა გზების, ესტაკადების, გვირაბების შენახვის გაუმჯობესების შესახებ“.

**თუკი საგზაო დარგის განვითარების ქრონოლოგიას გადავავლებთ თვალს, ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში კავკასიაზე გადიოდა სახმელეთო, საზღვაო და სამდინარო სავაჭრო გზათა სისტემა. ტრანსკონტინენტურ სავაჭრო-საქარავნო გზა „აბრეშუმის დიდი გზის“ სახელითაა ცნობილი და დღესაც დიდია საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის მნიშვნელობა. ჩვენს ქვეყანას გზებისა და ხელოვნური ნაგებობების მშენებლობის დიდი ისტორია აქვს. ამის დასტურია უძველესი თაღოვანი ხიდებიც, რომლებიც ათეულობის საუკუნეა, კვლავ ამაყად დგანან და ფუნქციონირებენ.**

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე გიორგი ამაშუკელი:**

„გასულმა წელმა მეგზევეებისთვის წარმატებულად ჩაიარა. ვვარაუდობდით 250 კმ გზის რეაბილიტაციას, თუმცა, 2013 წლის მაჩვენებელი უკვე გამოიკვეთა და ის 260 კმ გზას მოიცავს. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 45 ხიდს, 4 გვირაბსა და 1 ზვავდამცავ გალერეას. აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა 12 კილომეტრი ახალი საგზაო მონაკვეთი ქობულეთის შემოვლით გზაზე...

ანუ ეს შედეგები იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტი შემართებით იმუშავებენ მეგზევეები. მომავალი წლის გეგმები ამბიციურია და ამიტომაც გამოწვევების წინაშე დადგება დარგი. განსახორციელებელი გვექნება სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტები. ძირითადი აქცენტი გაკეთდება იმ გზებზე, რომლებიც წლების განმავლობაში მიტოვებული იყო. მაგალითად, მთისა და ბარის ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზები. დაიწყება ახალი საგზაო მონაკვეთების მშენებლობა. ეს იქნება სამტრედია-გრიგოლეთის გზა, აგარა-ზემო ოსიაურის გზა, ბათუმის შემოვლითი გზა. ასე რომ, ყველა ჩვენგანს მოეთხოვება უდიდესი პასუხისმგებლობით და კეთილსინდისიერად შეუდგეს მუშაობას“.



ღონისძიების მონაწილეები

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით შავლიაშვილი:**

„არც ისე დიდი ხანია, შემოვუერთდი ამ მართლაც ძალიან მნიშვნელოვან და დიდი ტრადიციების მქონე დარგს. აქ იმყოფებიან ადამიანები, რომლებიც ზაფხულში, ბევრი სხვა პროფესიის ადამიანებისთვის აუტანელ სიცხეში ცხელ ასფალტს აგებენ, ზამთარში კი თოვასა და ყინვაში 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ ცენტრალურ გზებზე თუ ულელტეხილებზე. სწორედ ამ ადამიანებს აქვთ ბედნიერება, შთამომავლობის წინაშე თავი მოიწონონ მათ მიერ აშენებული ხიდითა და გზით.

უპირველესად, ჩვენ ჩვენს საქმიანობაში უნდა ვიყოთ წარმატებულები, ანუ დავაგოთ და ვაშენოთ კარგი გზები, განვაახლოთ ხიდები და გვირაბები, ხოლო ამის შემდგომ ხელი შევუწყოთ ახალგაზრდების პროფესიულ განვითარებას. ასევე მთავარია, დავაფასოთ ღვაწლმოსილი, გამოცდილი მეგზევეები. სწორედ საგზაო დარგის ყველაზე დამსახურებული ხელმძღვანელის, ყველა მეგზევისათვის ლეგენდარული პიროვნების გიორგი რობიტაშვილის სახელს უკავშირდება ამ დღის კახეთში აღნიშვნის იდეა. ბატონი გიორგი რობიტაშვილი წარმოშობით კახეთიდან იყო და მეგზევის დღის რეგიონებში აღნიშვნის ახალი ტრადიციაც სწორედ კახეთიდან დავიწყეთ.

მიხარია, რომ ეს წელი წარმატებით დავასრულეთ. მომავალი წლის გეგმებიც საკმაოდ ამბიციურია და იმედი მაქვს, რომ ღირსეულად გავართმევთ თავს ყველა გამოწვევას.

ყველას – ჩვენი პროფესიის ადამიანებს, კოლეგებს ვუსურვებ პროფესიულ წარმატებას, მხნეობას და ბევრად წარმატებულ მომავალ წელს“.

**თეა მოსია**

## ალიან-ჩალიანი

### ჰამერბერგს პოლიტიკური ანგარიშსწორებების ეშინია

– ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების დაცვის კომისრის რანგში ხშირად მიწევდა ჩამოსვლა და ერთ-ერთი სერიოზული ხარვეზი, რაც იმთავითვე შევნიშნე, იუსტიციის სისტემას ეხებოდა. იუსტიციის სისტემას გადამწყვეტი როლი აკისრია ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში. იქ სადაც, საკანონმდებლო ორგანოები, პროკურატურა, სასამართლო და პენიტენციური სისტემა გამართულად ვერ მუშაობს, ადამიანის უფლებებს საფრთხე ემუქრება. საქართველოში შეინიშნებოდა სისტემური პრობლემები. დღეს, ახალ პოლიტიკურ გარემოში ძალიან მნიშვნელოვანია ამ სისტემური პრობლემების აღმოფხვრა. ჩემი მისიაც სწორედ ამაში მდგომარეობს. უნდა ითქვას, რომ გარკვეული ნაბიჯები ამ კუთხით უკვე გადაიდგა. მაგალითისთვის საპატიმროები ისე აღარ არის გადატვირთული, როგორც ადრე, შემცირდა პატიმრების რიცხვი და ეს უდავოდ პოზიტიურია. ასევე ვიმედოვნებ, რომ პატიმრების მიმართ მოპყრობაც გაუმჯობესდება. ჩვენი ძირითადი რეკომენდაციები მთავრობის მიმართ იმაში მდგომარეობს, რომ საქართველომ გაითვალისწინოს და გაიაზროს საერთაშორისო სტანდარტები და დაიცვას შესაბამისი პროცედურები. არ მოხდეს პოლიტიკური ანგარიშსწორება და იუსტიციის სისტემა იყოს მიუკერძოებელი, – განაცხადა თომას ჰამერბერგმა.

მან პროექტ „ერთად შევეგებოთ ევროპასთან“ საუბრისას ასევე აღნიშნა, რომ სიღარიბე ადამიანის უფლებებს სერიოზულ საფრთხეს უქმნის. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, უსახსრობა ზღუდავს ადამიანების სოციალურ უფლებებს და ამცირებს სასამართლოსა და სხვა ინსტიტუტებზე მათ ხელმისაწვდომობას.

მისივე თქმით, კორუფცია ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია.

ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში ასევე განმარტა, რომ სათანადო განათლება ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში უმნიშვნელოვანესია. მისივე თქმით, ამიტომ მნიშვნელოვანია ადამიანებმა იცოდნენ არა მარტო საკუთარი, არამედ სხვების უფლებებიც.

რაც შეეხება მედიას, თომას ჰამერბერგმა აღნიშნა, რომ მედიას ძალიან დიდი როლი აკისრია ადამიანის უფლებების დაცვის საკითხში.

### აზერბაიჯანსა და თურქეთთან ერთად მნიშვნელოვანი ენერგეტიკული დერეფანი შეიქმნება

თურქეთსა და აზერბაიჯანთან ერთად შევძელით ისეთი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს მძლავრი , სტაბილური და რეგიონისთვის მნიშვნელოვანი ენერგეტიკული დერეფნის შექმნას, – ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ ახალციხეში 400 კვ ელექტროგადამცემი ხაზისა და ქვესადგურ „ახალციხის“ გახსნის ცერემონიაზე განაცხადა.

ვიცე-პრემიერის შეფასებით, ეს დღე რეგიონისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან დასრულდა ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ენერგეტიკული პროექტის განხორციელება, რაც მრავალწლიანი მჭიდრო და წარმატებული ურთიერთთანამშრომლობის შედეგია.

– სამი ქვეყნის დამაკავშირებელი მილსადენებისა და ნავთობსადენების გარდა, სამხრეთის ენერგეტიკული მიმართულება კიდევ უფრო გაძლიერდა ახალციხეში მაღალტექნოლოგიური ქვესადგურისა და ტრანსსასაზღვრო გადამცემი ხაზების მშენებლობით. შედეგად ნავთობისა და ბუნებრივი აირის გარდა, შესაძლებელი გახდა ელექტროენერგიის ტრანსპორიტება და ევროპის ბაზრების მომარაგება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ფინანსური მხარდაჭერით მხოლოდ საქართველოში 250 მილიონი ევროს ინვესტიცია განხორციელდა. ეს პროექტი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ელექტროსისტემის მდგრადობას, ინვესტიციების მოზიდვას, ელექტროენერგიის ექსპორტის გაზრდას და ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის განვითარებას, – განაცხადა კალაძემ.

ენერგეტიკის მინისტრის განცხადებით, ხელისუფლების ამოცანაა, საქართველოს ენერგეტიკის სექტორმა ერთ-ერთი წამყვანი როლი შეასრულოს ქვეყნისა და რეგიონის განვითარებაში.

### სახელმწიფო სტრუქტურა - დაუდევარ მძღოლთა თავშესაფარი?!

ყველაზე დაუდევარი მძღოლები სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობენ, ხოლო ყველაზე მოწესრიგებულები – კერძო კომპანიებში, – ასეთ მონაცემებს სადაზღვევო კომპანია „არდი“ ავრცელებს.

კომპანიის ინფორმაციით, ბოლო სამი წლის გამოცდილებამ აჩვენა, რომ დაზღვეულთა შორის ყველაზე მეტად სახელმწიფო მანქანები ზიანდება და ხშირ შემთხვევაში მიზეზი მძღოლის დაუდევრობა და გაუფრთხილებლობაა.

სტატისტიკამ ასევე აჩვენა, რომ ყველაზე მოწესრიგებული და პროფესიონალი მძღოლები კერძო კომპანიებში მუშაობენ, რადგან მათი წლიური რისკი 18%-ს არ აღემატება. კერძო კომპანიების შემდეგ, პასუხისმგებლობით და სიფრთხილით ფიზიკური პირები გამოირჩევიან.

– კერძო სტრუქტურებში სამსახურის დაკარგვის მაღალი რისკია, რის გამოც მძღოლები ცდილობენ, იყვნენ სანიმუშო. ამიტომაც, მანქანის დაზიანების შემთხვევები გაცილებით მცირეა. ფიზიკური პირების შემთხვევაში კი, საკუთარი ქონების გაფრთხილების მექანიზმი მუშაობს, – აცხადებს „არდის“ საცალო გაყიდვების დირექტორი გიორგი ლომიძე.

სადაზღვევო კომპანია სახელმწიფო სტრუქტურების შესაბამის დეპარტამენტებს მოუწოდებს, მეტი ყურადღება გამოიჩინონ, რათა ავტომობილების დაზიანების შემთხვევები შემცირდეს.

**ინტერპრესი**

**ქართული პოლიტიკა ეიფორიაშია, ხელისუფლებას ხომ ნულარ იტყვით. ის, ისე დაბეჯითებით და გატაცებით გველაპარაკება, თითქოს ევროკავშირში კი არა, რაღაც, სამოთხის მსგავს კავშირში შევდივართ — წარმოუდგენელი, ენით აუწერელი დოვლათითა და ბედნიერებით სავსეში. გვილოცავენ პოლიტიკოსები, ე.წ. ექსპერტები და ყოვლის „მცოდნე“ ჟურნალისტები.**

**საყოველთაო ეიფორიას, საყოველთაო ვიდეოკლიპებიც შველის, დიადი გამარჯვების სულისკვეთებით დამზადებული, საზეიმო განწყობის ასამაღლებლად. კაცმა რომ თქვას, მეტი რაღა „ამაღლება“ გვინდა, ისედაც „ამაღლებულებს“, ოცწლიანი ცხოვრების „უბედნიერესი“ ციკლით?**

რა არ იყო ამ ოცი წლის განმავლობაში — მილიონი სამუშაო ადგილის დაპირება, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დაბრუნების „მცდელობა“, პენსიის 100 დოლარამდე გაზრდა, ნატოსა და ევროკავშირში შესვლის გარანტიით დაპურება. ცოტაა? ნამდვილად არა. პირიქით, ძალიან ბევრია ერთი პატარა ქვეყნისთვის, დავრდომილისა და მშიერისთვის, ქუჩაში ხელგაწვდილისთვის, ერთ დროს ამაყის, ამჟამად პატივმოყვარეობადაკარგულისთვის.

**რომ იტყვიან, იმედი ბოლოს კვდებაო, სწორედ საქართველოს მოსახლეობაზეა გამოჭრილი. მიუხედავად უამრავი შეუსრულებელი დაპირებისა, მას მაინც სჯერა. ეს იცის ხელისუფლებამ და უტუხად იმეორებს სამომავლო ბედნიერების აბებით „მკურნალობას“, ხალხიც ყლაპავს ყოვლისშემძლე აბებს — იმედით, რომ ეშველება. არადა, სამორგედ გამზადებულს, რას უშველის ევროკავშირში გაწევრების დაპირება?**

იქნებ გვიშველისო და თვალდახუჭული ყლაპავს და ყლაპავს ქართველობა საკუთარ რჩეულთა მიერ გამოწერილ, ფალსიფიცირებულ წამლებს. რატომ ფალსიფიცირებულსო, შემედავება მავანი. რა ვიცი, მე ასე მეჩვენება და თუ თქვენ სხვაგვარად გგონიათ, გაიხსენეთ ჩემი სიტყვები 5-10 წლის შემდეგ.

**ხელისუფლება თავის ცხოვრებას იწყობს და არა ხალხის, ამიტომ არის ესოდენ გახარებული. ადრე ვთქვი და გავიმეორებ — ცხინვალის ომმა თუ ვინმეს მოუტანა „ბედნიერება“, უპირველესად ნაცურ ხელისუფლებას. მან გააჩინა ახალი თემა — „ოკუპაცია“ — საზღვარგარეთ დაოთხილი სირბილისთვის.**

და დადიან გუშინდელი და დღევანდელი ხელისუფალნი ძვირადღირებულ უცხოურ მოგზაურობებში — „დეოკუპაციისთვის“. თავს არ იზოგავენ. სად არ ნახავთ მათ, ოკეანიის მიკრო სახელმწიფოებიდან დაწყებული, ევროპა-ამერიკით დამთავრებული. ისინი ჩვენი „ბედნიერებისთვის“ დადიან. „დეოკუპაციას“ ნატოსა და ევროკავშირში შესვლის თემაც ემატება და საერთო ჯამში ერთ საკითხად წარმოგვიდგება — ნატო-ევროკავშირში შესვლა, „დეოკუპაცია“.

**რა შუაშია ევროკავშირი და ნატო, დაკარგულის დაბრუნებასთანო — იკითხავს მავანი. პირდაპირ კავშირშია — გვიმტკიცებდნენ და გვიმტკიცებენ გუშინდელი და დღევანდელი ხელისუფალნი. აბა დაუგდეთ ყური მათ სატელევიზიო სიტყვებს — „ნატო და ევროკავშირი ის ორგანიზაციებია, რომლებიც, უდავოდ აღადგენენ ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას“.**

ტყუილი და თანაც ასეთი მამალი, ჯერ არ მსმენია. მაგრამ, რას ერჩი, ის ამ მამალი ტყუილით მოვიდა დღემდე, ამ ტყუილით მიღებული კარგი ცხოვრებით და ასე გააგრძელებს ერთ ხანს. ბოლოს შევაბერდებით ერთმანეთს ტყუილ მოლოდინში, ოღონდ ერთი განსხვავებით — მას უზრუნველყოფილი ექნება ბედნიერი სიბერე, შვილებს — ბედნიერი ყოფა, ჩვენ? ბუცა (ვიქტორ) ჯორბენაძის მიერ შექმნილი რიტუალების სასახლის ერექტული შუა ნაწილი, ანუ სამში გრძელი...

და როდესაც ხელისუფლებას ესოდენ ბედნიერი ცხოვრება ელოდება წინ, ვილნიუსის ცერემონიალზე, ხელისმოწერისას „ბედნიერების“ კურცხალსაც გადმოაგდებს და აკოცებს კიდევაც „მეგობარ“ ქეთრინ ეშტონს.

23 წელიწადია ხელისუფლება შესანიშნავად გრძნობს თავს, მიუხედავად განვლილი წლების სიდუხჭირისა, უშუქობისა, უპურობისა... ზოგი, მრავალი წლის განმავლობაში იქ, იმ დასავლეთში იყო შეფარებული — დიპლომატიურ ნავსაყუდელში. იქ „ჭედდა“ ქართულ საქმეს. ზოგიც აქ „იღვწოდა“ — ხშირ-ხშირი დასავლური გასვლებით.

უცხოურ ვოიაჟებში მათ მიერ დახარჯული სახელმწიფო ფული რომ ქვეყანას მოხმარებოდა, ევროკავშირი შემოვიდოდა საქართველოში და არა პირიქით. მაგრამ რა გაწევრებაზეა საუბარი? პარაფირება ხომ გაწევრებას არ ნიშნავს, ისე, როგორც ასოცირებული წევრობა, ნამდვილ წევრობას?

პარაფირებიდან ასოცირებამდე ერთი წელიწადია, ანუ მორჯულების ერთი წელიწადი. საქართველომ უნაკლოდ უნდა განვლოს ერთწლიანი მოსამზადებელი კურსები და თუ კარგად მოიქცევა, მოხდება მისი ასოცირებაც.

**რას იძლევა საქართველოსთვის პარაფირება და შემდეგ ასოცირება? იმას ნამდვილად არა, რასაც ხელისუფლება გვპირდება, ანუ საამურ ცხოვრებას. პირიქით, ხელს გვიბოჭავს და მონურ ამპლუაში გვაახლოებს ევროკავშირთან, მის კანონებთან და ცხოვრების წესთან. გვაკარგვინებს ყოველივე იმას, რითიც დღემდე მოვედით, საკომპენსაციოდ არაფერს გვპირდება.**

**პარაფირებული ტექსტის მიხედვით, ჩვენ უნდა შევასრულოთ ბრიუსელის მიერ მოცემული საშინაო დავალება. მხოლოდ ჩვენ, და არა მან. ის მკაცრი დამრიგებელია, ჩვენ — გონებაშეზღუდული მოწაფე. არ მოვეწონებით და კლასიდან კლასში არ გადაგვიყვანს, საშემოდგომოს გამოგვაყოლებს. დავუშვათ, გამოცდები კარგად ჩავაბარეთ და ასოცირებული წევრობიდან, ევროკავშირის წევრიც გავხდით (თუმცა მსგავსი რამ უტოპიის ტოლფასია), მომავალი წლების განმავლობაში გვეშველება რამე?**

ხელისუფლება გვიმტკიცებს — გვეშველება და მერე როგორო! მაგრამ ჩვენც რომ ვიცით კითხვა, ინტერნეტში „მოგზაურობა“ და რაღაც-რაღაცების ჩხრეკვა? ასე ჩხრიკა, კარგი გაგებით, პროფესიონალმა ჟურნალისტმა, მწერალმა და პუბლიცისტმა, საქართველოს ტელერადიო კომიტეტის წარმატებულმა თავმჯდომარემ არმაზ სანებლიძემ და გამოჩხრიკა „საამური“ ცხოვრების ამბები ევროკავშირის წევრ რუმინეთსა და ბულგარეთში.

მავანი აგდებით მეტყვის — ეს ქვეყნები რა მოსატანიაო. დიახაც, რომ მოსატანია, ვინაიდან მათი ცხოვრების დონე და წარმატებები თვალშისაცემი იყო სოციალისტურ ბანაკში. რა არ იყო ამ ქვეყნებში — აწყობილი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება, ტურიზმი და ა.შ. და რაც მთავარია, შრომას მიჩვეული საზოგადოება, თავმოყვარე, საკუთარი ისტორიისა და თვითმყოფადობის განუხრელი დამცველი.

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ბოლო ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში ბატონ არმაზს მოჰყავს ბულგარეთის საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ზდრავკოვის სიტყვები: **„თქვენ გსურთ იცოდეთ, როგორ იცხოვრებთ ევროკავშირის პირობებში? ჩამოდით ბულგარეთში, ოღონდ ნუ ივლით სანაპიროზე რესტორნიდან რესტორანში. ეს ნიღაბია. გაემგზავრეთ ქვეყნის სიღრმეში. თქვენ ნახავთ ქარხნების ნანგრევებს, სიღატაკეს, თქვენ ნახავთ ევროკავშირის მიერ გასრესილ ეკონომიკას, შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც ამაოდ ცდილობენ სამუშაოს პოვნას...**

ჩვენ გვსურდა სხვა ცხოვრება, მაგრამ არა ასეთი. მწარედ მოგვატყუეს. შეგვათრიეს ამ ევროკავშირში ისე, რომ ხალხისთვის არაფერი უკითხავთ. ვიმედოვნებდით, რომ ევროკავშირში შესვლით უკეთესად ვიცხოვრებდით. არა! ცხოვრება აუტანელი გახდა!“

## ნაცები კიევში მართლა საქართველოს წარმოადგენდნენ და არა ნაცმოძრაობას?



ბულგარეთი რახანია ევროკავშირის წევრია. „საამური“ ცხოვრება არათუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშია, არამედ ევროკავშირის „ბებერ“ წევრებშიც, ისეთებში, როგორებიცაა პორტუგალია, ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი, საბერძნეთი. 28-წევრიან კავშირს, უდავოდ უჭირს ფინანსურად, ეკონომიკურად, სოციალურად, და აქედან გამომდინარე — სულიერად. ძნელია სულიერი დალხინება უმუშევრობის დროს.

საქართველოს ზომაზე ახალგაზრდა ხელისუფლება გვპირდება: ევროპელები ჩამოვლენ, ინვესტიციებს ჩადებენ, ქარხნებს და ფაბრიკებს ააგუგუნებენ, ხალხს დაასაქმებენ და იქნება საამური ცხოვრებაო.

მომხიბლავი პერსპექტივაა, ოღონდ მხოლოდ პერსპექტივა და მეტი არაფერი. რაში სჭირდება ევროპას საქართველოში დამზადებული საქონელი? არც არაფერში. თავისუფალი ვაჭრობა, რომელსაც ევროპა გვპირდება, მხოლოდ მას წაადგება და არა ჩვენ. ევროკავშირში მყოფი რუმინეთ-ბულგარეთის პროდუქცია არ სჭირდებათ და არშექმნილი ქართული პროდუქცია დასჭირდებათ?

საქართველოში პროდუქციის შექმნისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ევროპული საქონელი რომ ძირში ჩაკლავს ჩვენს სამომავლო წარმოებას, ფაქტია. მაშ, რისთვის ვიკლავთ თავს?

**ევროკავშირი რახანია პოლიტიკურ კავშირადაა ქცეული, რომლის მიზანი აშშ-თან ერთად რუსეთთან მეტოქეობაა. ამერიკა-ევროკავშირის დაპირისპირება რუსეთთან გრძელდება. დასავლეთ-აღმოსავლეთის პოლიტიკურ ჭიდილში დიდი მნიშვნელობა აქვს სატელიტების შექმნას. საბჭოთა კავშირის დაშლიდან დაწყებული, დასავლეთი ცდილობს ყოფილი სოცბანაკისა და საბჭოთა კავშირის ქვეყნების მიმხრობას, რასაც წარმატებითართმევს თავს. პროცესი გრძელდება და ასე იქნება მანამ, ვიდრე არ მოხდება რუსეთის დაშლა, დაჩოქება, დაჩაჩანაკება.**

ევროპა-ამერიკის პოლიტიკოსებს ვერ მოუნელებიათ, რომ არსებობს ერთიანი რუსეთი უმდიდრესი წიაღისეულით. დასავლეთის გეგმა მარტივია — რუსეთის მეზობლების გადაბირება — ხან ნატოში შეყვანის დაპირებით, ხან აღმოსავლეთის პარტნიორობით. ბოლო შეტევა სულ ახლახანს განხორციელდა — უკრაინა, საქართველო, მოლდოვას მიმართულებით.

ამ სამეულიდან დასავლეთისთვის უკრაინა იყო მთავარი — 45-მილიონიანი, ერთ დროს მრეწველობითა და სოფლის მეურნეობით განთქმული. რუსეთის დასაძაბუნებლად უკრაინულ-რუსული ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა არის მთავარი. ამ მიზნის მისაღწევად თითქმის 20 წელიწადია იღვწის დასავლეთი.

20 წელიწადია დასავლელი პოლიტიკოსები, ექსპერტები ცეცხლზე ნავთს უსხამენ უკრაინულ სეპარატიზმს. „თქვენ რა გინდათ რუსეთთან, თქვენ ევროპელები ხართო“, — ამბობენ ისინი. კიევის მიტინგზე მისულმა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვესტერველემ მომიტინგეებს ასე მიმართა: „მე ევროპელებთან მოვედიო“.

ნაციონალიზმის ჭია, საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული, ღრღნიდა უკრაინას, თანაც ისეთ დონეზე — პოლიტიკიდან შორს მდგარ მომღერალსაც რომ აკვირვებდა. ცნობილი ქართველი მომღერალი ლამარა ჭყონია თავის მოგონებებში წერს უკრაინის ოპერის თეატრში გატარებულ წლებზე, მათ შორის თეატრის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებაზე - ყველა ოპერა, მათ შორის იტალიურიც, უკრაინულად ემღერათ.

გაგახსენდათ? გენიშნათ? გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების ჟამს გაჟღერდა მსგავსი იდეა — უცხოური ოპერების ქართულად შესრულების თაობაზე. ჰოდა უძახა ევროპამ უკრაინას ევროპა ხარო და საწადელს მიაღწია — პროპაგანდით, ათეულ-ათასობით დოლარ-ევროთი, უცხოეთში ტრენინგებით, უკრაინაში გახსნილი არასამთავრობო ორგანიზაციებით და ა.შ. ერთი სიტყვით, ყოველივე იმით, რაც საქართველოშიც ხდება.

**„ფერად-ყვავილოვანმა“ რევოლუციამ თუ სადმე მოიტანა ნაყოფი — უკრაინა-საქართველო იყო. მართალია ამ რევოლუციების მთავარი გმირები ჩამოშორდნენ ხელისუფლებას, მაგრამ სახიფათო დასავლური თესლი ღრმადაა ჩაბუდებული უკრაინა-საქართველოს ნიადაგში და როდის ამოიყრის რევოლუციურად, ძნელი სათქმელია. თუმცა, არცთუ ძნელი — უკრაინული მაგალითიდან გამომდინარე.**

დასავლეთმა ვერ გადახარშა იუშენკო-ტიმოშენკოს მარცხი, იანუკოვიჩის წარმატება და გაათკეცებული ენერგიით შეეჭიდა იანუკოვიჩის მოთვინიერების თემას. და როდესაც ეგონა, რომ გაიმარჯვა, იანუკოვიჩმა უგანა.

„როგორ თუ უარი თქვა ხელმოწერაზე“ — და ისეთი ცეცხლი დაუნთო საკუთარ სახლში, საპროტესტო მიტინგების სახით, სამუდამოდ რომ დაამახსოვრდება ურჩ იანუკოვიჩს.

დასავლეთის მწვრთნელების მიერ გაწვრთნილი ნიღბიანი ახალგაზრდობა ისე ეკვეთა უკრაინელ პოლიციელებს გაზის ბალონებით, ხელკეტებით, ბეისბოლის კეტებით, თითქოს საკუთარი სისხლი და ხორცი კი არა, მომხდური, დამპყრობელი ყოფილიყო. ჩაიმსხვრა და დაილეწა ადმინისტრაციული შენობების კარ-ფანჯრები, ნაკუწებად იქცა საახალწლო ნაძვისხე, აიღეს სახელმწიფო შენობები და ა.შ. უკრაინის პოლიცია იძულებული შეიქმნა, აღედგინა წესრიგი, რომელსაც ძალის გადამეტებაც მოჰყვა.

მაგრამ პოლიციის კიევური ქმედება ვერაფრით მოვა თბილისში მიტინგების არაერთ დარბევასთან. სააკაშვილის ხელისუფლება უმოწყალოდ უსწორდებოდა მომიტინგეებს — მსხვერპლით, დაინვალიდებით და ა.შ. ვინმე ევროკავშირელმა ან ამერიკელმა ამოიღო ხმა ამ ბარბაროსობაზე? არც არავინ. ხოლო ვინც ამოიღო — ასეც უნდა მოქცეულიყო ხელისუფლებაო, ბრძანა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო აშშ-ის მაშინდელი ელჩის განცხადება.

ევროკავშირის ორმაგი სტანდარტი აშკარაა. არ მოსწონს მას იანუკოვიჩის ხელისუფლება და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მას მშვიდობიანი მომიტინგეების დაშლის გამო. მოსწონდათ სააკაშვილის ხელისუფლება და მომიტინგეებს ადანაშაულებდნენ არასანქცირებული მიტინგის მოწყობისთვის (ცნობისთვის, კიევის მიტინგებიც არასანქცირებული იყო, თან სახელმწიფო გადატრიალების მოწოდებით გაჯერებული.)

„დემოკრატიული“ ევროკავშირი სიტყვებს არ დასჯერდა და თავით გადაეშვა უკრაინულ მიტინგებში. გერმანელი, პოლონელი, ლიტველი, ევროკავშირის სხვა ქვეყნის პოლიტიკოსები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ანტისამთავრობო მიტინგებზე რევოლუციური სიტყვებისა და მოწოდებების წარმოთქმაში. არის თუ არა ეს სუვერენული ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა?!

ცხადია არის! მაგრამ ევროპას სხვა სტანდარტები აქვს — ერთობ არადემოკრატიული. ასეთ კავშირში გვინდა შესვლა?

გვინდა, მაგრამ ვინ შეგვიშვებს? ევროკავშირს ჩვენი შესვლა კი არ უნდა, არამედ რიგში ჩაყენება სურს - მრავალწლიან და დამღლელ რიგში. ის თავის საქმეს იკეთებს — რიგში ჩაყენებით, გვაშორებს ერთიანი საბაჟო კავშირისგან, რუსეთისგან.

**კიევის მიტინგზე ჯვრებიანი ქართული დროშებიც აფრიალდა, რევოლუციონერი ნაცებიც გამოჩნდნენ. აბა, ევროპელ დამრიგებლებს ხომ არ ჩამორჩებოდნენ? ვიცე-სპიკერმა ბარამიძემ უკმეხად განაცხადა, ჩვენ ნაციონალურ მოძრაობას კი არ წარმოვადგენთ, საქართველოს წარმოვადგენთო. მართლაც ასე იყო? და თუ ასეა, რას გვეტყვის ხელისუფლება ამასთან დაკავშირებით?**

„ღმერთო, ღმერთო ეს ხმა ტკბილი, გამაგონე ჩემს მამულში“, — დიდი ილიას სიტყვები გაიმეორა ნაცმა ხაბაზმა, რითაც გულღიად გაგვანდო ნაცთა ოცნება — რევოლუცია, ნაცთა ხელისუფლებაში დაბრუნებით.

რასა იქმს ხელისუფლება? არც არაფერს. გაყუჩება ძვირად დაუჯდება მას, რაც ნაკლები ასაღელვებელია, მაგრამ ქვეყნის მორიგი აბუნტება, თანაც ნაცური, აუტანელი იქნება.

სრულიად ვიზიარებ საინფორმაციო სააგენტო „როსბალტის“ ჟურნალისტისა და ანალიტიკოსის ირინა ჯორბენაძის მოსაზრებას: **„უცნობია, რა დროით მოუწევს საქართველოს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობისთვის ყურყუტი და რა სერიოზულ უსიამოვნებას გადაეყრება რუსეთ-ევროკავშირის გეოპოლიტიკური დაპირისპირების ნიადაგზე. ასე და ამრიგად. პარაფირებით, ევროპამ საქართველოსა და მოლდოვას თავისებური მრიცხველი დაუყენა, რომლის თითოეული, მომდევნო ციფრი ნაღმად შეიძლება გადაიქცეს, რომელსაც ისინი ადრე თუ გვიან ფეხს დაადგამენ“.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

**◉ ვითარება**



# რას გამოავლენს გამოძიება?

## პროკურატურამ ლაშა ნაცვლიშვილის წინააღმდეგ შეტანილი განცხადების შესწავლა დაიწყო

**ლაშა ნაცვლიშვილისა და გია ხუხაშვილის გარშემო სკანდალი არ წყდება. მთავრობის კულუარებში ვრცელდება ინფორმაცია, რომ ყოფილ პრემიერ-მინისტრსა და მისივე მთავრობის საკმაოდ გავლენიან პირებს, ნაცვლიშვილსა და ხუხაშვილს შორის მწვავე საუბარი შედგა. როგორც ამბობენ, ბიძინა ივანიშვილმა თავად გასცა ბრძანება, რომ გამოიძიონ ყველა ის საქმე, რაც ნაცვლიშვილისა და ხუხაშვილის მთავრობაში ერთწლიან საქმიანობას უკავშირდება.**

გავრცელებული ინფორმაციით, ამის შემდეგ ლაშა ნაცვლიშვილმა ქვეყნის დატოვება გადაწყვიტა და აშშ-ის საელჩოს მიმართა ვიზის მისაღებად, თუმცა, საელჩომ ვიზის გაცემაზე უარი უთხრა. ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად for.ge აშშ-ს საელჩოს დაუკავშირდა, თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გააკეთეს. სატელეფონო ზარებს არ პასუხობს ლაშა ნაცვლიშვილიც.

საინტერესო განცხადებას აკეთებენ საქართველოს მთავარ პროკურატურაში. როგორც ოთარ ფარცხალაძის უწყებაში განაცხადეს, ყოფილი მთავარი პროკურორის ყოფილი პირველი მოადგილის ლაშა ნაცვლიშვილის წინააღმდეგ პროკურატურაში შეტანილი განცხადების შესწავლა დაიწყო, თუმცა, რა დასკვნამდე მივა გამოძიება, ეს მოგვიანებით გახდება ცნობილი.

როგორც ცნობილია, ლაშა ნაცვლიშვილმა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოღვაწეობა შსს-ში დაიწყო, მას მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა, თუმცა, ყოფილი შს მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, ნაცვლიშვილი შსს-დან გენერალურ პროკურატურაში გადაიყვანეს. მიზეზებზე ოფიციალური კომენტარი ამ დრომდე არ არსებობს, თუმცა, არაოფიციალურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ ნაცვლიშვილი კონკრეტული საქმეების ლობირებას შეეცადა, რაც მინისტრისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე რომ ხშირად წყვეტდა ისეთ საკითხებს, რომლებიც არჩილ კბილაშვილის გადასაწყვეტი იყო, ამის შესახებ განცხადება ყოფილმა პრემიერ-მინისტრმაც გააკეთა.

**„არჩილ კბილაშვილი ამერიკელებსაც მოსწონთ და ევროპელებსაც. ლაშა უფრო პრაქტიკულია და მეტი გამოცდილება აქვს. ხშირად წყვეტს ის იმას, რაც არის კბილაშვილის გადასაწყვეტი, ასეთი კაზუსები შეიძლება იყოს, მაგრამ ეს არ არის დიდი პრობლემა“,** — განაცხადა მაშინ ბიძინა ივანიშვილმა.

ლაშა ნაცვლიშვილი პროკურატურაში გამოძიებას კურირებდა, ის უშუალოდ კურირებდა თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას საქმეს და როგორც ამბობენ, მის საქმეზე გამამართლებელი განაჩენიც ნაცვლიშვილის დამსახურებაა. პროკურატურა ახალაიას მიმართ რომ ლოიალური იყო, ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ ერთსა და იმავე დანაშაულზე სასამართლომ ახალაია გაამართლა, ხოლო მასთან ერთად ბრალდებულების წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენი დააყენა.

გარდა ამისა, გავრცელებული ინფორმაციით, ლაშა ნაცვლიშვილი და გელა ხვედელიძე უშუალოდ გავიდნენ კავშირზე კუდ-ის ყოფილ მაღალჩინოსანთან დათა ახალაიასთან და გარკვეული ინფორმაციის სანაცვლოდ, მას ხელშეუხებლობის გარანტია მისცეს. ერთ დროს საკმაოდ გავლენიანი ფიგურის მოღვაწეობის შესახებ კომენტარის გაკეთება არ სურთ უმრავლესობის წევრებს.

ლაშა ნაცვლიშვილს ბიზნესის წართმევის მცდელობაში „რუსმეტალის“ ხელმძღვანელები ადანაშაულებენ. აღსანიშნავია, რომ „რუსმეტალის“ ერთ-ერთი მსხვილი აქციონერის ზაზა მამულაშვილის განცხადების საფუძველზე, კომპანიის წინააღმდეგ საქმე აღიძრა. კომპანიის ფინანსურ დირექტორს გერონტი ცვარიანსა და ბუღალტერს თამარ ჯავაშვილს პროკურატურამ 202-ე მუხლით ბრალი წარუდგინა, რაც დოკუმენტების გაყალბებას ითვალისწინებს.

კომპანიის გენერალური დირექტორის თემურ მიმინოშვილის განცხადებით, პროკურატურაში შეტანილია ორი სარჩელი თაღლითობის სქემაზე, რომლის მეშვეობითაც მამულაშვილმა მილიონ ლარზე მეტი მიითვისა. თუმცა, ეს საკითხი წინ არ წაწეულა, მაშინ, როდესაც მამულაშვილის განცხადების საფუძველზე, საქმის წარმოება 3 დღეში დაიწყო. მიმინოშვილის განცხადებით, მამულაშვილი ლაშა ნაცვლიშვილის უახლოესი მეგობარია.

ლაშა ნაცვლიშვილის სახელი ფიგურირებს ბიზნესმენ გელა მიქაძის დაკავების საქმეში. არსებობს ინფორმაცია, რომ დაკავებამდე მას მოსთხოვეს ბიზნესის დათმობა და, როგორც ამბობენ, მასთან ამ საკითხზე მოლაპარაკებას გენერალური პროკურორის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი აწარმოებდა და სწორედ უარის შემდეგ მოხდა მისი დაკავება, რასაც ასევე მოჰყვა მისი ქონებისა და საბანკო ანგარიშების დაყადაღება.

**„მე არ ვფლობ ინფორმაციას, კონკრეტულად თქვენს მიერ დასახელებული პირი იყო თუ არა ამ წილის მომთხოვნი, მაგრამ შემიძლია, დაგიდასტუროთ, რომ ასეთი მოთხოვნა ნამდვილად იყო და ეს ჩემთვის ცნობილია. ფაქტიც იმის შესახებ, რომ არც ერთ კითხვას არ უსვამენ ადამიანს, ვისაც სულ უფრო მეტ ბრალს უყენებენ, მიმანიშნებს იმაზე, რომ მხოლოდ ბრალდება არის გამოძიების ინტერესი და არა სიმართლის დადგენა“,** — აცხადებს ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი.

ლაშა ნაცვლიშვილის წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას ითხოვს კორტებთან მოკლული ზურაბ ვაზაგაშვილის მამა იური ვაზაგაშვილი, რომლის განცხადებით მისი შვილის მკვლელებს უშუალოდ ლაშა ნაცვლიშვილი მფარველობდა.

**„ვთხოვდი, მარტო ერთ კითხვაზე გამეცით პასუხი, განზრახ მკვლელობით მიდიხართ თუ არა-მეთქი. მე ვითხოვ, ნაცვლიშვილის და კბილაშვილის პასუხისგებაში მიცემას და იცით რატომ? როცა წინ ედოთ თითქმის გამოძიებული საქმე, არ გამოიძიეს. პროკურატურაში იყო დაინტერესებული პიროვნება, რომელიც ხელს უშლიდა ამ გახმაურებული საქმეების გამოძიებებს. მინდა, გითხრათ, რომ ყველანაირად მტკიცდება, რომ ეს კვალი მიდის ლაშა ნაცვლიშვილისკენ.**

**შევხვდი ბატონ კბილაშვილს, ვუთხარი, რომ ეს საქმე გამოძიებული მაქვს და მოდი, ვითანამშრომლოთ-მეთქი. კბილაშვილს ბევრი რამე დავუმტკიცე, დაუძახა ნაცვლიშვილს და ჩემი თანდასწრებით დაავალა, რომ ამ საქმეზე ხვალიდან სამი ახალი გამომძიებელი დაამატეო. 6 თვის განმავლობაში არც ერთი გამომძიებელი არ დაამატა ნაცვლიშვილმა, ისე წაიღეს ეს საქმე ქალაქის პროკურატურაში“,** — ამბობს იური ვაზაგაშვილი.

მისივე თქმით, ნაცვლიშვილი უშუალოდ მფარველობდა შს მინისტრის ყოფილ მოადგილეს ლევან გვაზავას, რომლის უშუალო ხელმოწერით გაიყვანეს სპეცდანიშნულების რაზმი.

**„ლაშა ნაცვლიშვილს წარსულს რომ გადავხედოთ, სულ წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან იყო ჩახუტებული. ის უშუალოდ მეგობრობს იმ ხალხთან, ვინც ამ მკვლელობებში, ქონების წართმევასა და ბიზნესმენების ტერორში იყვნენ ჩართული. მისი საძმაკაცოა ეს ხალხი.**

**მეტსაც გეტყვით, მინისტრის მოადგილე ლევან გვაზავა, რომელიც ძალიან ბევრ ბინძურ საქმეშია გასვრილი, დღემდე ვინმეს უხსენებია? ის ნაცვლიშვილის უახლოესი მეგობარია და ყოველ საღამოს რესტორნებში ქეიფობდნენ ერთად და, ალბათ, გაიგებდით კიდევ რა ბინძურ საქმიანობას ეწევიან ერთად. ნაცვლიშვილი მფარველობდა მათ. დიახ ბატონო, ჩემი შვილის მკვლელებს მფარველობდა ლაშა ნაცვლიშვილი.**

**ლევან გვაზავამ დაგეგმა ფირცხალავასთან ერთად საბურთალოს სასაფლაოზე ბიჭების ჩაცხრილვის ოპერაცია. ეს კაცი არის ნაცვლიშვილის ძმაკაცი და არა მარტო ზურას საქმეს, სხვა საქმეებსაც მფარველობდა ლაშა ნაცვლიშვილი. ყველა ძველ კადრს უშუალოდ ის მფარველობდა. როგორ შეიძლება შაქრო ზაალიშვილი, თენგიზ ხარებავა და სხვები მუშაობდნენ პროკურატურაში?! რა ბრალიც ბაჩო ახალაიას და ვანო მერაბიშვილს წაუყენეს, ესეც ნაცვლიშვილის დამსახურებაა. ქვეყანა დააქციეს, ხალხი დახოცეს და ხედავთ რაზე ჰყავთ დაჭერილი, ეს ამ ხელისუფლების სირცხვილია“,** — აღნიშნა იური ვაზაგაშვილმა.

**თამთა ქარჩავა**

**◉ ყურძენი — მეზვრე — მომხმარებელი**

# ქართულმა ღვინომ კონკურენცია დაძლია!

## ახალი წლის შემდეგ ღვინო გაძვირდება

**ღვინის მწარმოებელი ქართული კომპანიები ღვინის გაძვირებას ახალი წლიდან ვარაუდობენ. თუკი საბაზრო პრინციპებს გავითვალისწინებთ, ეს სავსებით ლოგიკურია. როდესაც პროდუქციაზე მოთხოვნა დიდია და სახელმწიფო სუბსიდიაც მაღალია, ფასიც მუდმივად მაღლა იწევს.**

კომპანიების ინფორმაციით, წითელი ღვინის ფასი, საშუალოდ, 25 პროცენტით, ხოლო თეთრისა 5 პროცენტით გაიზრდება. ფასის მატების მთავარ მიზეზად ქართველი მწარმოებლები რთველის პერიოდში ყურძნის ჩაბარების მაღალ მაზანდას ასახელებენ.

**ცნობილია, რომ წლევანდელ რთველზე 1 კილოგრამი რქაწითელის ჩასაბარებელი მინიმალური ფასი 1,1 ლარი იყო, საფერავის — 1,3 (ზოგ შემთხვევაში 1,8 ლარიც), ხოლო ალექსანდროულ-მუჯურეთულის ფასმა საერთოდაც 10 ლარს მიაღწია.**

„თბილღვინოში“ ამბობენ, რომ წელს ყურძენზე არსებული ფასები საკმაოდ მაღალი იყო, რაც ღვინოზე ფასის მატებაში აისახება. კომპანიის ცნობით, გაძვირება, ძირითადად, საექსპორტო ბაზრებს შეეხება, თუმცა, ეს ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობაზეც იმოქმედებს.

ამასთან დაკავშირებით ღვინის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, რომ ღვინის მწარმოებლების და ყურძნის მომყვანების ინტერესი არასდროს დაემთხვევა, რადგან ერთს სურს პროდუქცია ძვირად გაყიდოს, ხოლო მეორეს — იაფად შეიძინოს.

„თბილღვინოს“ მსგავსად ღვინის სხვა მწარმოებლებიც იანვარ-თებერვლიდან ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე ქართული ღვინის გაძვირებაზე საუბრობენ. როგორც „ქართული ღვინის სახლის“ გენერალური დირექტორი აცხადებს, მათი პროდუქცია მომავალი წლიდან 30-40 პროცენტით ძვირად გაიყიდება. ზურაბ შავიშვილის განმარტებით, ეს გადაწყვეტილება წლეულს ყურძნის მაღალი თვითღირებულებიდან გამომდინარე მიიღეს.

**შარშან კომპანიებმა ნედლეული 30 და 40 თეთრად იყიდეს, წელს კი ყურძენზე მაღალი ფასი დაფიქსირდა და ღვინის გაძვირებაც სახელმწიფოს მაღალმა სუბსიდიამ განსაზღვრა. შავიშვილი ღვინოზე ფასის ზრდით მომხმარებელთა შემცირებას გამორიცხავს. მისივე თქმით, ქართული ღვინო საექსპორტო ბაზრებზე წარმოდგენილ სხვა ქვეყნის ღვინოებს ხარისხით გაუწევს კონკურენციას.**

მომავალი წლიდან ფასი გაიზრდება „შუხმან ვაინის“ ღვინოზეც. როგორც კომპანიის დირექტორი „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, გასულ წელთან შედარებით წელს ყურძნის ფასი 30-40 პროცენტით გაიზარდა, რაც შემდგომ პროდუქციის ფასზეც აისახა. ნუცა აბრამიშვილის თქმით, მათი კომპანია პროდუქციის 20-25 პროცენტით გაძვირებას როგორც ადგილობრივ, ისე საექსპორტო ბაზრებზეც გეგმავს და ამის მიზეზად „შუხმან ვაინი“ ქართულ ღვინოზე მაღალ მოთხოვნას ასახელებს. აბრამიშვილის განცხადებით, მათი ღვინო შეიძლება ძვირი იყოს, თუმცა, ხარისხით კონკურენციას ვერც იტალიური და ვერც ფრანგული ღვინოები ვერ უწევენ.



ქართული ღვინის ექსპორტი რომ ერთბაშად იზრდება, ამას სტატისტიკური მონაცემებიც ცხადყოფს. შესაბამისად, როდესაც პროდუქციაზე დიდი მოთხოვნაა, ფასიც მაღლა იწევს. ასე რომ, მეღვინეების პოზიციაც საბაზრო კანონებს სრულად შეესაბამება.

**— ივნისიდან სექტემბრამდე საქართველომ რუსეთში რეალიზაციისთვის 8 მილიონ 917 ათასი ბოთლი ღვინო გაიტანა, რაც 9 თვის განმავლობაში განხორციელებული ექსპორტის 33,7 პროცენტს შეადგენს. შესაბამისად, შვიდწლიანი შესვენების შემდეგ, რუსეთი საქართველოს ყველაზე მსხვილი იმპორტიორი გახდა,** — აღნიშნავენ ღვინის ეროვნულ სააგენტოში.

სულ იანვარ-სექტემბერში საქართველომ უცხოეთში 26 მილიონ 458 ათასი ბოთლი ღვინო გაიტანა, რაც გასული წლის მაჩვენებელს 71 პროცენტით აღემატება.

ქართული ღვინის ექსპორტი 49 ქვეყანაში ხორციელდება. მსხვილ იმპორტიორებს შორის მეორე პოზიცია უკრაინას უჭირავს, სადაც 8 მილიონ 523 ათასი ბოთლი ალოკოჰოლური სასმელი გაიყიდა (შარშანდელთან შედარებით 13 პროცენტით მეტი).

იმპორტიორთა ხუთეულში შედიან ყაზახეთი, ბელორუსი და პოლონეთი, რომელთა წილი მთლიან ექსპორტში 20,7 პროცენტია.

**ეკა ბაქრაძე**

◎ გაუთვალისწინებელი დაკაბალება

# თანამემამულეებს სწირავენ

**დღეს ტრეფიკინგის მსხვერპლის ასაცილებლად მოზარდებს სკოლებში გამოცდილი სპეციალისტები ტრენინგებს უტარებენ დევიზით — „ნუ გაცვლი თავისუფლებას მონობაზე!“ მაგრამ რა ქნან იმ ახალგაზრდებმა, რომლებიც „AU-PAIR“-ის პროგრამით უცხოეთში ენის შესწავლისა და კულტურის გაცნობის მიზნით მიემგზავრებიან და მოულოდნელად არა მთლად მონურ, მაგრამ კაბალურ მდგომარეობაში კი ვარდებიან?**

ზემოთ ნახსენები პროგრამა გათვალისწინებულია 18-25 წლამდე ახალგაზრდებისათვის, პროგრამის მონაწილემ (შემდგომში ოპერმა) ერთი წელი უნდა იცხოვროს მასპინძლის ოჯახში, კვირაში 30 სთ-ის ფარგლებში დაეხმაროს ოჯახს ბავშვების მოვლაში, იოლ საოჯახო საქმეებში. სანაცვლოდ მასპინძელმა ყველა პირობა უნდა შეუქმნას ოპერს, რათა მას ჰქონდეს ენის კურსებზე სიარულის, ქვეყნის კულტურის გაცნობის საშუალება. მან ოჯახის სრულუფლებიან და სრულფასოვან წევრად უნდა იგრძნოს თავი, მასპინძელმა ჩამოსულს ყოველთვიურად უნდა მისცეს 260 ევრო, რაც პროგრამიდან ფინანსდება.

პროგრამით სარგებლობა დამოუკიდებლადაცაა შესაძლებელი. არსებობს უამრავი ვებ-გვერდი, სადაც დაინტერესებულ პირს შეუძლია დარეგისტრირდეს და პოტენციური მასპინძლის ოჯახს დაუკავშირდეს. სტატისტიკის მიხედვით, პროგრამის ფარგლებში საქართველოდან ახალგაზრდები ძირითადად გერმანიაში მიდიან, მცირე რაოდენობით — დანიასა და ჰოლანდიაში.

პროგრამას ჰყავს თავისი აგენტები (გერმანული ენის სპეციალისტები), რომლებიც შუამავლის როლს ასრულებენ პროგრამაში ჩართვის მსურველ ახალგაზრდებსა და მომავალ მასპინძელ ოჯახებს შორის, რაშიც ისინი, ასევე პროგრამის ფარგლებში, ანაზღაურებას იღებენ. როგორც სპეციალისტები განმარტავენ, სააგენტოსთან ან აგენტთან ურთიერთობა იმითაა უკეთესი, რომ უცხო ქვეყანაში პრობლემის შექმნის შემთხვევაში, აგენტი ვალდებულია, დაეხმაროს ოპერს. დახმარება რამდენიმე ფორმას ითვალისწინებს: 1. პრობლემების მოგვარება; 2. პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში ოჯახის შეცვლა; 3. პროგრამიდან გამოსვლის შემთხვევაში მონაწილის საქართველოში დაბრუნება.

მაგრამ ბევრ შემთხვევაში პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებები არ სრულდება. ძირითად დამრღვევად გვევლინება მასპინძელი ოჯახი, შემდეგ ქართველი აგენტი. სხვადასხვა ხარისხით დაზარალებული კი მუდამ საქართველოდან ენის შესასწავლად და კულტურის გასაცნობად ჩასული ახალგაზრდაა.




როგორც პროგრამიდან ნაადრევად დაბრუნებული ან პროგრამის სრული კურსის გავლის შედეგად სამშობლოში ჩამოსულნი ყვებიან, მასპინძელი ოჯახები ზოგიერთ შემთხვევაში ევროპელი მონათმფლობელებივით ექცევიან საქართველოდან ჩასულ ახალგაზრდებს. ავალებენ მათ მძიმე სამუშაოების შესრულებას, მთელი ოჯახის ტვირთს მათ ჰკიდებენ. აიძულებენ დღეში 14-17 საათს მუშაობას. იმ დონემდე ჰყავთ საქართველოდან ჩასულნი „დასაქმებულები“, რომ ისინი არა თუ ქვეყნის კულტურის გაცნობას ვერ ახერხებენ, ენის შემსწავლელ კურსებზე სიარულისთვისაც კი არ რჩებათ დრო. ზოგიერთი მასპინძელი ჩამოსულისგან პრეტენზიების დროს, ფიზიკურ შეტევაზეც გადადის. ქართველ ოპერებს კანონის დარღვევით ართმევენ პასპორტებს, უთიშავენ ინტერნეტს, რათა გარე სამყაროსგან სრულ იზოლაციაში იყოლიონ. უგვიანებენ პროგრამით გათვალისწინებული და მასპინძელი ოჯახებისთვის გადაცემული თანხების საქართველოდან ჩამოსულთათვის დროულად გადაცემას და ა.შ.

ვის მიმართონ ოპერებმა დახმარებისთვის, თუ არა მათ პროგრამაში ჩამსმელ და შესაბამის ოჯახებში გამომგზავნ აგენტებს საქართველოდან, რომლებიც თავადაც არიან პროგრამის მონაწილენი.

გერმანული ენის სპეციალისტები, აგენტები პროგრამაში ჩართულობის გამო პროგრამიდანვე ფინანსდებიან, მიუხედავად ამისა, ისინი ახალგაზრდებისგან პროგრამაში ჩართვის გამო თანხებს ითხოვენ. ნიხრი სხვადასხვაა: 200-300 ლარამდე, — აცხადებენ უკვე ყოფილი ოპერები. ბევრი მათგანი აღნიშნავს, რომ უცხოეთში ყოფნის დროს, როდესაც დაძაბული სიტუაცია ექმნებოდათ მასპინძელ ოჯახებთან, ისინი აგენტებს უკავშირდებოდნენ საქართველოში და სთხოვდნენ მასპინძლის გამოცვლას, რაზეც უმეტეს შემთხვევაში უარყოფით პასუხს ღებულობდნენ.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, ვალდებულებების თავის ამრიდებელ აგენტებს შორის ხშირად ფიგურირებს ლალი მენაბდის გვარი. იგი უარყოფს მის მიერ გაგზავნილი ოპერებისგან წამოსული დახმარებების თხოვნაზე უარყოფითი პასუხის გაცემას და მოკლედ ჭრის — არ მოუმართავთო. პროგრამაში ჩასმისთვის ფულის აღებაზეც კატეგორიულ უარს აცხადებს და ამბობს — მე ფულს მარტო მეცადინეობებში ვიღებ, მოსმენა, დავალებების მიცემა დიდი შრომაა და ამაში 50-60 ლარს ვიღებო, — უხსნის მენაბდე კახეთის საინფორმაციო ცენტრის თანამშრომელს.

პროექტის მონაწილეთა დახმარებისათვის, მათი პრობლემების გადაჭრისათვის გერმანიის მსხვილ ქალაქებში შექმნილია პროექტით გათვალისწინებული „ოპერკლუბები“, შტუტგარტის ამგვარი დაწესებულების ხელმძღვანელი ოფიციალურად აცხადებს, რომ მათი სააგენტოს მეშვეობით ჩამოსულთ ნებისმიერი გართულებების დროს ეხმარებიან, მაგრამ მათ უჭირთ ინტერნეტით ან კერძო აგენტების მეშვეობით ჩამოსულთათვის ხელის გამართვა — ეს, უბრალოდ, მათ არ ევალებათ. აგენტებმა უნდა მოაგვარონ მათი პრობლემები.

ის, თუ რამდენმა კაცმა მიმართა თავისი პრობლემების მოგვარებისთვის საქართველოს საელჩოებს სხვადასხვა ქვეყანაში, საგარეო უწყებიდან კახეთის საინფორმაციო ცენტრს პასუხი ჯერ კიდევ არ აღირსეს.

**ზაზა ბილიხოძე**

◎ ბიზნესის სამყარო

# მეწარმეობის მიმართ ხელისუფლებისა და ხალხის ნდობის თავისებურებები

**საქართველოში ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ, უკანასკნელი წლის განმავლობაში განხორციელებული პოლიტიკური ცვლილებების შედეგად, ბიზნესი წნეხისგან განთავისუფლდა. მაგრამ არის სხვა მოსაზრებებიც, რაც ცალკეული მეწარმეების შევიწროების შესახებ გამოითქმის. ხელისუფლება საწინააღმდეგოს ირწმუნება, თუმცა, მსგავს განცხადებებს ეჭვქვეშ აყენებს ეკონომიკის ზრდის ტემპი და ბიზნესაქტივობის დაბალი დონე.**

საქართველოში თითებზე ჩამოსათვლელი არიან ისეთი ბიზნესი და მეწარმეები, რომლებმაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს და რომელთა მიმართ საზოგადოების ცნობადობის ხარისხი მაღალია. იმის გასარკვევად, თუ რომელ ადგილობრივ საწარმოს და მეწარმეს იცნობს და ენდობა მოსახლეობა, რადიო „თავისუფლების“ პრაქტიკანტებმა რიგითი მოქალაქეები გამოკითხეს, რომლებიც ამბობენ: **„ერთადერთი, რომელიც მახსენდება, არის მზესუმზირის საწარმო „მაკნატუნა“, იმიტომ რომ რამდენიმე წელია ეს საწარმო ამზადებს მზესუმზირას, რომელიც, როდესაც არ უნდა გახსნა, ყოველთვის უფრო გემრიელია, ვიდრე უცხოური“.**

მზესუმზირის მწარმოებელი ამ კომპანიის გარდა, გამოკითხულთა უმრავლესობა შოკოლადის პროდუქციის მწარმოებელ საწარმო „ბარამბოს“ ასახელებს: **„ბარამბოს“ შოკოლადს ვყიდულობ, მირჩევნია უცხოურს“.**

მოქალაქეების მიერ დასახელებულ ამ საწარმოებს და მათ მფლობელებს სხვადასხვა სახის პრობლემა გაუჩნდათ ბოლო ერთი წლის მანძილზე. ეს იმ დროს, როდესაც ხელისუფლების სათავეში მოსული პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები მეწარმეებს განთავისუფლებას და ხელშეუხებლობას დაჰპირდნენ. ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დასაწყისში კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა და იმჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მეწარმეებს ხელშეუხებლობა აღუთქვა: **„უკვე დარეგულირებულია ის, რომ ვერც ერთი ჩინოვნიკი ვერ გაბედავს კერძო საკუთრებაში უკანონოდ ხელის ფათურს. ამის გარანტად, გამოგიცხადეთ, მე ვიქნები“.**

იმასვე ირწმუნება ივანიშვილის თანაგუნდელი, ახალი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი: **„ახალი მთავრობის მოსვლისთანავე ბიზნესი გათავისუფლდა სახელმწიფო ზეწოლისგან. წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, აღარ მიმდინარეობს ბიზნესზე ზეწოლა, არც ერთი ფაქტი აღარ არსებობს ამის“.**



ამ განცხადებების მიუხედავად, ცნობილია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ბიზნესი უსამართლო შევიწროების გამო ჩივის. მათ შორის არის მოქალაქეების მიერ სანდო კომპანიად დასახელებული მზესუმზირის მწარმოებელი „მაკნატუნა“. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, ხელისუფლების შეცვლიდან რამდენიმე კვირაში, ქუთაისში დაფუძნებული „მაკნატუნას“ მესაკუთრემ და თანამშრომლებმა პარლამენტის წინათ საპროტესტო აქცია მოაწყვეს. აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ მაშინ თქვა: **„მე ვარ ერთ-ერთი. დამფუძნებელი, ჩემი სახლის სარდაფში დავიწყე ერთი ტომარა მზესუმზირით... შემოვარდნენ ქარხანაში, სერვერი ამოიღეს, რომლის მეშვეობითაც დისტრიბუცია მუშაობს. ამის გამო ოთხი დღე ქარხანა იყო გაჩერებული, 50 ათასი ზარალი განვიცადეთ“.**

ამ კომპანიის მსგავსად, სახელმწიფო სტრუქტურებმა პრეტენზიები წაუყენეს გამოკითხული მოქალაქეების მიერ დასახელებულ კომპანია „ბარამბოს“ და მის ხელმძღვანელს, ბიზნესმენ ცეზარ ჩოჩელს. ის ორიოდე თვის წინათ ფულის გათეთრების ბრალდებით დააკავეს, მოგვიანებით კი აღმკვეთი ღონისძიების ფორმა შეუცვალეს და გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. ლაპარაკია მისი ერთი კომპანიის მიერ კრედიტის აღებაზე და მეორე კომპანიაში ინვესტიციის განხორციელებაზე, რის გამოც საგამოძიებო ორგანომ ცეზარ ჩოჩელის სახელთან დაკავშირებული ყველა საწარმო დააყადაღა. ცეზარ ჩოჩელი ამბობს: **„ბრალში ვკითხულობდი, რომ თურმე „შპალმა“ აიღო კრედიტი და შეიტანა „ზედაზენში“, რომ შექმნილიყო და დაფუძნებულიყო. ეს ყოფილა თურმე ფულის გათეთრება და არ ყოფილა ინვესტიცია. პრემიერის მოწოდების შემდეგ, როდესაც ითქვა, რომ ბიზნესი თავისუფლდება წნეხისგან, პირველი ვიყავით, ვინც 5.5 მილიონი ევროს ინვესტიცია განვახორციელეთ“.**

ცეზარ ჩოჩელის წილობრივი მონაწილეობით შექმნილ „ბარამბოს“ საწარმოს დაყადაღებას გამოეხმაურა ბიზნესომბუდსმენი გიორგი გახარია. მან აღიარა, რომ კომპანიის მთლიანად დაყადაღება საჭირო არ იყო: **„იქ არის, ჩვენი აზრით, გარკვეული დარღვევები, როდესაც, ვთქვათ, აყადაღებენ მთელ წარმოებას, როდესაც შესაძლებელი იყო, რომ სახელმწიფო ორგანოებს შესაბამისი მექანიზმები აემუშავებინათ მხოლოდ საწარმოს ნაწილზე, წილზე, და არა მთელ საწარმოზე“.**

„ბარამბოსა“ და ცეზარ ჩოჩელის მონაწილეობით შექმნილი კიდევ ერთი კომპანიის „ზედაზენის“ მიმართ განხორციელებულ ქმედებებში შერჩევითი სამართლის ნიშნები დაინახეს „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ წევრებმაც. ამ ორგანიზაციის აქტივისტი მერაბ ჯანიაშვილი ყადაღის მექანიზმის მეშვეობით ბიზნესზე ზეწოლის შესახებ საუბრობს: **„ის, რომ ცეზარ ჩოჩელის მფლობელობაშია, ამის გამო შეიძლება მიიჩნიეს დამნაშავედ და კანონდამრღვევად, მაგრამ ის ბრალდებები, რაც კომპანიას წაუყენეს, არის აბსურდული და ძალიან სასაცილო. პროკურატურას ხელჩასაჭიდიც არაფერი აქვს, რომ ედავოს, მაგრამ სასამართლოში არის საქმე და ამ „შპალების“ გამო სხვა, მის მიერ დაფუძნებული კომპანიებიც დაყადაღებულია და, როგორც ვიცი, ერთ-ერთი კომპანია, „ბერტა“, უკვე დაკარგა“.**

მერაბ ჯანიაშვილის მიერ ნახსენებ კომპანია „ბერტაში“ ძირითადად დასაქმებული იყვნენ ცხინვალის რეგიონიდან დევნილები, რომლებიც საწარმოს გაჩერების გამო უმუშევრები დარჩნენ. ჯანიაშვილის აზრით, თითქმის ერთი წლის განმავლობაში დაყადაღებული საწარმოს ფუნქციონირება შეუძლებელი ხდება, რადგან ის ვერც კრედიტს მიიღებს, ვერც რეინვესტირებას შეძლებს და ვერც კომპანიის განვითარებას. შესაბამისად, გაკოტრება გარდაუვალი ხდება.

**კახა მჭედლიძე,**
**რადიო „თავისუფლება“**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო და უკრაინა

## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ოპოზიციისა და მმართველი კოალიციის ლიდერები კომენტარს უკეთებენ მოვლენებს უკრაინაში

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, რომელსაც უკანასკნელი წლების საზოგადოებრივი გამოკითხვის თანახმად შეიძლება ვუწოდოთ რესპუბლიკის ყველაზე პოპულარული ლიდერი, მოუწოდა მორწმუნეებს, ილოცონ „უკრაინაში მშვიდობისთვის“.**

**„ჩვენ შეშფოთებული ვართ უკანასკნელი პროცესებით კიევში და ძალიან განვიცდით შექმნილი ვითარების გამო. ამიტომ დავლოცეთ ჩვენი მრევლი, რათა ილოცონ უკრაინაში მშვიდობისთვის. ჩვენ, ჩვენის მხრივ, ვილოცებთ და შევთხოვთ უფალს, მიაპყროს თავისი ყურადღება მოძმე უკრაინელ ხალხს, რათა მან შეძლოს, მშვიდობიანად დაძლიოს ეს რთული პერიოდი“,** — ნათქვამია საქართველოს პატრიარქის განცხადებაში.



შეგახსენებთ, რომ ოფიციალური კიევის გადაწყვეტილებამ — შეაჩეროს ვილნიუსში 28-29 ნოემბრის ევროკავშირის სამიტზე ევროკავშირში ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა — გამოიწვია ფართომასშტაბიანი მღელვარებანი უკრაინაში. უკრაინელი პოლიტიკოსების განცხადების თანხმად, ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა რუსეთის ზემოქმედების შედეგად. საქართველომ და მოლდოვამ მოახდინეს ვილნიუსში ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების პარაფირება. ელოდებიან, რომ 2014 წლის სექტემბერში შესაძლებელი გახდება ამ დოკუმენტებზე ხელმოწერაც.



### „მე - ქართველი ვარ, მე - უკრაინელი ვარ“

**ადრე პროტესტის მონაწილე დემონსტრანტებისადმი სოლიდარობის ნიშნად უკრაინის დედაქალაქში ჩავიდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და გამოვიდა მომიტინგეების წინაშე სიტყვით უკრაინულ ენაზე.**

**„მე მინდა გითხრათ, რომ მე — ქართველი ვარ, მე — უკრაინელი ვარ, და ეს ნიშნავს, რომ მე ევროპელი ვარ. მე ერთ დღესაც არ შემპარვია ეჭვი, რომ უკრაინა მოახდენს ევროპაში ინტეგრირებას, და რომ იგი დაუბრუნდება ევროპულ ოჯახს. მე ახლა დავრწმუნდი, რომ ეს ასეც მოხდება... ჩამოვედი თქვენთან, რომ გაცნობოთ, თუ რამდენად გვიყვარხართ თქვენ და რამდენად ვიზიარებთ თქვენს მისწრაფებებს. უკრაინის წარმატება და თავისუფლება — ეს საქართველოს წარმატება და თავისუფლებაა, მოლდოვის, მთელი ცენტრალური ევროპის, მთელი მსოფლიოს წარმატება და თავისუფლებაა... უკრაინის ტრიუმფი დაასრულებს ვლადიმერ პუტინის ერას და ეს დაიწყება აქ, ამ მოედანზე“,** — თქვა სააკაშვილმა თავის გამოსვლაში 7 დეკემბერს კიევში დამოუკიდებლობის მაიდანზე.

ადრე საქართველოს ექსპრეზიდენტმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ჩავიდა კიევში „როგორც კერძო პირი“, რათა მხარი დაუჭიროს უკრაინელ ხალხს, მაგრამ არც ერთ კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას.

**„ჩვენ ვფიქრობთ ჩვენი ქვეყნების მომავალზე. ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ იმიტომ, რომ ცალ-ცალკე ჩვენ შეიძლება გაგვტეხონ“,** — განაცხადა სააკაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ 10 დეკემბერს სააკაშვილის პარტიის ცენტრალური ოფისის წინ თბილისში მოპროტესტო კიევისადმი სოლიდარობის ნიშნად აღმართეს უკრაინის დროშა.

### „სხვადასხვა გზებით“

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ასევე გამოუთქვა სოლიდარობა „უკრაინელი ხალხის არჩევანს“ და უსურვა უკრაინელებს, „მიაღწიოს თავის მიზანს მშვიდობიანი გზით“.** ამავე დროს უსუფაშვილმა აღნიშნა, რომ ევროკავშირთან შეთანხმების პარაფირების შემდგომ პერიოდში მასზე ხელმოწერამდე „ჩრდილოელი მეზობლების მხრიდან უნდა ველოდოთ ხელის შეშლას ამ პროცესში“.

**„მათ შეუძლიათ, განახორციელონ ეს სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით... მაგრამ პოლიტიკური კლასის და არასამთავრობო სექტორის ერთიანობა გვიჩვენებს მზადყოფნას იმისთვის, რომ ვერავინ გვაიძულებს, გადავუხვიოთ ამ გზიდან“,** — თქვა 9 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის სპიკერმა.

### „ნაკლები ბერკეტებით“

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ საქართველოს მიერ ევროკავშირთან შეთანხმების ხელმოწერამდე პერიოდში რუსეთი, ალბათ, მიიღებს გარკვეულ ზომებს, რათა ხელი შეუშალოს საქართველოს ევროინტეგრაციას.**

ექსპერტმა აღნიშნა არსებული სხვაობაც სიტუაციებთან დაკავშირებით უკრაინასა და საქართველოში. უწინარეს ყოვლისა, საყვარელიძემ მიუთითა იმაზე, რომ, უკრაინის მთავრობისგან განსხვავებით, საქართველოს ხელისუფლებას აქვს „მყარი ორიენტირი დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციისთვის“. პოლიტოლოგმა აღნიშნა, რომ ამას ადასტურებს საქართველოს ხელმძღვანელობის მიერ უკანასკნელი წლის განმავლობაში გადადგმული ნაბიჯები ევროპულ სტრუქტურებთან დაახლოებისთვის, აგრეთვე ამ ნაბიჯების დადებითი შეფასება დასავლელი პარტნიორების მხრიდან.

ასევე, ამბობს ექსპერტი, „საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა“, საზოგადოებრივი აზრის ყველა გამოკითხვის შედეგების თანახმად, დარწმუნებულია საქართველოს პროდასავლური კურსის აუცილებლობაში. საყვარელიძის სიტყვებით, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის და იმის გათვალისწინებითაც, რომ რუსეთი აგრძელებს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას, მოსკოვისთვის რთული იქნება „დათესოს ანტიდასავლური განწყობილება“ რესპუბლიკის მოსახლეობაში.

**„ხალხს მოკლე მეხსიერება როდი აქვს, უფრო მეტიც, რუსული ტანკები რამდენიმე ათეულ კილომეტრში არიან თბილისიდან, ასე რომ, საქართველოში ხალხს არ შეიძლება უეცრად გაუჩნდეს ნდობა რუსეთისადმი“,** — აღნიშნა „ამერიკის ხმის“ რუსულ სამსახურთან ინტერვიუში.

პოლიტოლოგმა ასევე მიუთითა იმაზე, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველო დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციაზე უფრო ნაკლებად, ვიდრე უკრაინა და აღმოსავლური პარტნიორობის სხვა ქვეყნები, შესაბამისად, ამბობს საყვარელიძე, ალბათ, ბერკეტების სახით საქართველოზე ზემოქმედებისთვის მოსკოვი შეეცდება, გამოიყენოს საქართველოდან გამოყოფილი რეგიონები.

**„საქართველოში უკანასკნელ პერიოდში მართლაც გარკვეულწილად გაისმის დასავლეთის კრიტიკა, მაგრამ ეს გამოწვეულია მხოლოდ იმით, რომ მოსახლეობის ნაწილი უკმაყოფილოა დასავლეთის პასიურობის გამო რუსეთის არალეგიტიმურ მოქმედებებზე რეაგირების თვალსაზრისით და არცთუ ნათელი ვადებით საქართველოს სრული ინტეგრაციისთვის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში“,** — ასკვნის ექსპერტი.

### „ძალები ქვეყნის შიგნით“

**სპეციალისტი საერთაშორისო პოლიტიკაში, სახელმწიფო მართვის საქართველოს ინსტიტუტის პროფესორი თორნიკე შარაშენიძე მიიჩნევს, რომ რუსეთის ზემოქმედების მასშტაბი საქართველოს ევროინტეგრაციის შეჩერების მიზნით არ შეიძლება იყოს დიდი იმის გათვალისწინებით, რომ, მისი სიტყვებით, „საქართველოს უკვე აღარაფერი აქვს დასაკარგი“.**

**„რუსეთმა მოახდინა საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპაცია, ეკონომიკური თვალსაზრისით კი, რუსეთის მიერ ქართულ პროდუქციაზე 2006 წელს შემოღებული ემბარგოს შედეგად, საქართველომ მოახდინა თავისი ბაზრის დივერსიფიცირება და ახლა არ არის დამოკიდებული რუსეთზე“,** — აღნიშნა ექსპერტმა „ამერიკის ხმის“ რუსეთის სამსახურთან საუბარში.

შარაშენიძეს მიაჩნია, რომ რუსეთი, ალბათ, შეეცდება, შეაჩეროს საქართველოს ევროინტეგრაცია, გამოიყენოს ძალები თავად საქართველოს შიგნით. კერძოდ, ამბობს ექსპერტი, ეს შესაძლებელი გახდება ძალების აქტივიზაციის გზით, რამაც თავისი მოქმედებებით შეიძლება გავლენა მოახდინოს საქართველოში დემოკრატიული სტანდარტების დაქვეითებაზე, რაც, თავის მხრივ, გახდება დაბრკოლება ევროკავშირთან დაახლოების გზაზე.

**„სამწუხაროდ, უკვე გაისმის სამღვდელოების ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებები, რომლებიც ევროკავშირს წარმოგვიდგენენ, როგორც სივრცეს, სადაც დაკანონებულია „სოდომის ცოდვა“, რომელთან შეერთებაც, მათი პროპაგანდის თანახმად, წარმოადგენს საფრთხეს „ქართველი ხალხის ღირებულებებისთვის“ და ასე შემდეგ. ასევე გააქტიურდნენ ძალები, რომლებიც გამოთქვამენ რელიგიურ მოუთმენლობას“,** — მიაჩნია შარაშენიძეს.

### დედამიწის ზურგზე




**ინდოეთში დააბრუნეს აკრძალვა ჰომოსექსუალიზმზე, რომელიც მე-XIX საუკუნეში იყო დაწესებული**

**აკრძალვა ინტიმურ ურთიერთობებზე ერთი სქესის პარტნიორებს შორის ინდოეთში მოიხსნა 2009 წელს. მაგრამ ქვეყნის უმაღლესმა სასამართლომ, როდესაც მთელი რიგი პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწეების შუამდგომლობას განიხილავდა, წინანდელი სასამართლო გადაწყვეტილება უკანონოდ მიიჩნია. ადგილობრივი გეი-აქტივისტები განაწყენებული არიან: „ეს შავი დღეა“.**

* * *

**მაიდანზე ღამის შტურმის შემდეგ იკრიბებიან აქტივისტები**



**ჯერ კიდევ შუადღემდე მაიდანზე, სადაც ჟურნალისტების შეფასებით, დაახლოებით 25 ათასი კაცი იმყოფებოდა, ხალხი კვლავ მოდის. სცენიდან ოპოზიციონერებმა გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვის შესახებ, ყოფილი თანამებრძოლი გაემიჯნა იანუკოვიჩს და მოუწოდა დონეცკს, რომ მას „ზურგი არ გააჩნია“.**

* * *

**ურუგვაი გახდა პირველი ქვეყანა მსოფლიოში, რომელმაც მოახდინა მარიხუანას წარმოებისა და გაყიდვის ლეგალიზება**



**ახლა ურუგვაის სრულწლოვან მცხოვრებლებს ექნებათ გამდიდრების სამი საშუალება — იყიდონ მარიხუანა აფთიაქში, ჩაეწერონ „კლუბში“ ან გააშენონ რამდენიმე ბუჩქი დამოუკიდებლად. ადრე ქვეყანაში პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა: კანაბისის მოხმარება ნებადართული იყო, მაგრამ მისი წარმოება და გაყიდვა კანონით ისჯებოდა.**

* * *

**ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში ბიუჯეტთან დაკავშირებით მიღწეულია კომპრომისი**

**დემოკრატებისა და რესპუბლიკელების ამჟამინდელი შეთანხმება საშუალებას მისცემს ქვეყანას, თავიდან აიცილონ ამერიკის მთავრობის მუშაობის კიდევ ერთი დროებითი შეჩერება. ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკამ უკვე საკმაოდ იზარალა ოქტომბრის კრიზისის შედეგად. ობამამ კონგრესის მუშაობას მაღალი შეფასება მისცა.**



## ◎ პოეზია




# ცითა და მიწით ნაკურთხი ლექსი

1964 წლის ოქტომბერში სსრკ-ის ევროპული ნაწილის ირგვლივ, ნაომარ ადგილებში, ოთხთვიანი ველოტურისტული მოგზაურობის შემდეგ საქართველოში დავბრუნდით ჩემი თანაკლასელი გვანჯი მანია და მე. მთელი საქართველო გველოდებოდა! მას შემდეგ, რაც ჯვრის უღელტეხილის გავლით, ხდის ხეობასთან, საქართველოს აკვანი დავტოვეთ, დასავლეთიდან, მდინარე ფსოუსთან კვლავ გადავჭერით საზღვარი და დავუბრუნდით მშობლიურ მიწას. ქართველი ჟურნალისტები ერთმანეთს „ეჯიბრებოდნენ" ვინ უფრო ადრე და ფართოდ გააშუქებდა ჩვენს მოგზაურობას. ჩვენს მარშრუტზე მდებარე ქალაქებში გვიკავშირდებოდნენ ტელეფონით. ხან კიდევ ადგილობრივი კოლეგების დახმარებით მოიპოვებდნენ საგაზეთო მასალებსა თუ სატელევიზიო სიუჟეტებს. ასე იყო ნალჩიკში, როსტოვში, ტულაში, კურსკში, მოსკოვში, ლენინგრადში, ტალინში, რიგაში, ვილნიუსში, ლვოვში, კიშინიოვში, კიევში, სიმფეროპოლში თუ სოჭში. ქალაქ ტულაში ქართველთაგან პირველებმა მივულოცეთ წარმატება ცნობილ ქართველ ველომრბოლელს ომარ ფხაკაძეს. ბალტიისპირეთის გზატკეცილებზე კი, მონაწილეობა მივიღეთ სტუდენტთა საკავშირო ველორბოლაში და გარკვეულ წარმატებებსაც მივაღწიეთ.

...მცხეთიდან მანქანების კოლონამ შემოგვაცილა დედაქალაქში. ჩვენთვის მოულოდნელი ზარ-ზეიმით შეგვხვდა თბილისი და ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტი! სტუდენტობა და თბილისელები შეგროვილიყვნენ ვარაზისხევისა და უნივერსიტეტის ეზო-კარში და ყველას ერთი სურვილი ჰქონდა, — თუნდაც, შორიდან მაინც შეეხედა ჩვენთვის! აღფრთოვანებული თვალებითა და სიყვარულით გვეფერებოდა საქართველო. საზეიმო მიტინგზე ერთმანეთს ცვლიდნენ გამომსვლელები, პროფესორები, სტუდენტები, მეგობრები და, უბრალოდ, ნაცნობები. ...და ბოლოს, სიტყვით მოგვმართა უნივერსიტეტის რექტორმა, საქვეყნოდ ცნობილმა ასტრონომმა, პატივცემულმა ევგენი ხარაძემ:

— „საუკუნეებია ცაში იცქირებიან ასტრონომები და ამ საუკუნეების მანძილზე ბევრს არ რგებია პატივი, სიახლე აღმოეჩინა ცის უკიდეგანო სივრცეში! ჩემთვის, სწორედ, ასეთი აღმოჩენაა ეს ორი ყმაწვილი ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრებაში და სიამოვნებით აღვნიშნავ ამას!"

მაშინ, ერთი მორიდებული სტუდენტიც გახლდათ ამ ზეიმის მონაწილე — შალვა საბაშვილი! იმ დღეს, რა თქმა უნდა, ისიც სიხარულით ესწრებოდა ზეიმს! ანდა, როგორ არ დაესწრებოდა, როცა მისი პროფესორი და დიდი მასწავლებელი, ბატონი ევგენი ხარაძე გამოდიოდა სიტყვით ამხელა საზოგადოების წინაშე. შალვამაც გულწრფელად მოგვილოცა მშვიდობით დაბრუნება და მას მერე, როცა ვხვდებოდი ქუჩაში თუ უნივერსიტეტის დერეფნებში, მუდამ სიმპათიით ვიყავი განწყობილი მისადმი, ოღონდ, ეგ იყო, ცხოვრებამ ისე „გაგვანაწილა", რომ მისი კარიერით ნაკლებად დავინტერესებულვარ. ისე, შორიდან ვიგებდი, რომ შალვამ უკვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, გახდა დოცენტი, გახდა ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი და აბასთუმნის ასტონომიულ ობსერვატორიაში ეწეოდა ჭაპანს, მაგრამ (უნდა გამოვტყდე!) არაფერი ვიცოდი „მეორე შალვაზე", რომლის გულიდან და გონებიდან იღვრებოდა პოეზია!

წლები გაჭენდნენ ვითარც მერანი და, ერთ მშვენიერ დღეს, სრულიად შემთხვევით, ხელში ჩამივარდა ლექსების კრებული — „100 ლექსი", რომელსაც ყდაზე, გაკრული ლამაზი ქართული შრიფტით, ეწერა — „შალვა საბაშვილი"! სანამ კრებულს თავიდან ბოლომდე წავიკითხავდი, თვალი გადავავლე მის გვერდებს. კრებული გამოცემული გახლავთ ბატონ კახმეგ კუდავას პროექტით, — „100 ლექსი" და შესავალ ტექსტებად ამშვენებს ცნობილ ქართველ მწერალთა და პოეტთა, მეცნიერ-ფილოსოფოსთა და ავტორის მეგობართა გულწრფელი სიტყვები.

**ანზორ აბულაშვილი**: — „ამ კრებულის ავტორი სპეციალობით ასტრონომია, რაც ერთგვარი დამაინტრიგებელი მუხტის მატარებლად უნდა მივიჩნიოთ. ბოლოს და ბოლოს, მოციაგე ვარსკვლავებისკენ მოცქირალი პოეტის სულში ჩანათებულ ზეციურ ათინათთა ანარეკლითაც ხომაა შეფერადებული — მარად ასე სისხლხორცეულად ჩვენად წილხვედრილი პოეზიის იდუმალებათა მგრძნობელობა.

ეს წიგნი მწერლობაში ახლად ფეხშედგმული ავტორის პირველი მორიდებული განაცხადი კი არა, დაოსტატების სკოლაგავლილი, მოზრდილი, სამყაროს ლოგიკურ მთლიანობაში „ჩაწერილი" ნიჭიერი კაცის მცდელობაა, ლექსის მეშვეობით მიაგნოს ჭეშმარიტების გზას...

**„და ის შორი ვარსკვლავი,**
**მფეთქავ გულს რომ მოჰგავს,**
**იქნებ მე ვარ, შორეთში ჩარჩენილი**
**ჯერაც,**
**იქნებ ზოგან ჩავქრი და**
**არ ჩავმქრალვარ ზოგან,**
**და იქიდან ვაგზავნი სხივთა კონის**
**ჩქერალს."...**

**მაკა ჯოხაძე**: — „შალვა საბაშვილის პოეტურ ხილვებში ვერსად წააწყდები მიწიდან ამაღლების უხერხულ პათოსს!"...

**ლერი ჩანტლაძე**: — „...საბედნიეროდ, ამ ბოლო დროს გაიზარდა ფილოსოფიური ჩანაფიქრებითა და პოეტური მიგნებით გაჯერებული ლირიკის ხვედრითი წილი. ნიმუშად შალვა საბაშვილის ერთი ლექსი „შებრუნება" გამოდგება. იგი წარმოადგენს ყოფიერების აპორეტიკის, მისი ანტონომიური და სიმბოლური სტრუქტურის საკვირველ პოეტურ ხილვას.

**თენგიზ სვანიძე:** — „შალვა საბაშვილის ყველა სტრიქონი დეფინიციურია, არც კეთილხმოვანება (ეიფონია) აკლია და, რაც მთავარია, გამოირჩევა მედიტაციურობით, შორს ჭვრეტით. პოეტი სულ ახლის ძიებაშია და ეს ირეკლება ყველაფერში: თემატიკაშიც, შინაარსშიც, სახეობრიობაშიც, სიტყვათწარმოებაშიც...".

...ვფურცლავ ამ კრებულს და მე, ზაურ ფიფიას, კიდევ ერთხელ მახსენდება იმ დიდი ადამიანის სიტყვები, რომელმაც ამ ორმოცდა ათი წლის წინათ ფრთები შეგვასხა დიდი მოგზაურობიდან დაბრუნებულებს. 1999 წელს კი, იგი სიამაყით წერდა თავისი მოსწავლის შალვა საბაშვილის ლექსების პირველი კრებულის გამოსვლასთან დაკავშირებით.

**აკადემიკოსი ევგენი ხარაძე**: — „შალვა საბაშვილი ამჟამად ჩვენი უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრის გამგე, ავტორია სამეცნიერო-პოპულარული წიგნების და ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული წერილებისა. მისი ორი წიგნი დამაინტერესებელი სათაურით „სამყაროს საინტერესო ობიექტები" და „ზეცათა ლაბირინთებში", 1976 და 1982 წლებში გამოცემული ჩვენი უნივერსიტეტის გამომცემლობისა და „ნაკადულის" მიერ, დღესაც ინტერესით იკითხება. ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, განგებამ შალვა დააჯილდოვა ღვთაებრივი ნიჭით: — იგი აღიარებული პოეტია! მისი ლექსები შეგხვდებათ სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში. მისი წიგნი, „წყალვარდნილი" მოკრძალებული ზომისაა, მაგრამ შინაარსით, ფიქრისა და ფანტაზიის აღძვრის ტევადობით წყალვარდნილივითაა. ხომ არ არის ეს ასტრონომიისათვის უცხო? რა თქმა უნდა, არა! ასტრონომია დიდი სარბიელია პოეზიისათვის ისევე, როგორც პოეზია ასტრონომიისათვის. განა კოპერნიკი, როცა უსაზღვრო სამყაროს სხეულების მოძრაობაზე ფიქრობდა და ნიუტონი კი, იმ კანონებზე, რომლებიც, ფაქტობრივად, მომდევნო საუკუნეების ცივილიზაციის საფუძველი გახდა, ზოგჯერ მაინც არ ფანტაზიორობდნენ?"...




ზემოთ მოყვანილი ციტატების გადმოცემის შემდეგ, მე თავს უფლებას ვერ მივცემ მრავალსიტყვაობით გამოვხატო ჩემი აღფრთოვანება შალვას პოეზიის შესაფასებლად, მხოლოდ ერთს ვიტყვი: — ეს არის ცითა და მიწით ნაკურთხი პოეზია, რომელსაც კვებავს საკუთარი მამულის სიყვარული და ეროვნული ტრადიციები! ...და მშვენიერია ვითარცა:

**„...ბორცვს შეფენილი**
**წყნარი ეზოდან,**
**გაბმით ყეფს ძაღლი,—**
**ძვირფასია ეს ხმა ესოდენ!..."**

**ზაურ ფიფია**

## ◎ თითქმის ნატურიდან

# თაგვების ბიზნესი

**ორმთავრობაგამოვლილი** უმუშევრობის შემდეგ დიტო ხვედელიძემ დიდად გაიხარა, როცა შეიტყო, რომ ახალი ხელისუფლება, წინებისგან განსხვავებით, მხარს უჭერდა მცირე ბიზნესის განვითარებას. მას ბევრი აღარ უფიქრია, ერთ მშვენიერ დღეს პირდაპირ ზოოპარკს მიადგა და მენეჯერთან აუდიენცია ითხოვა.

— რამ შეგაწუხათ? — იკითხა საქმეში თავჩარგულმა მელოტმა მამაკაცმა.

— თაგვების გაყიდვა გადავწყვიტე, — თქვა მორიდებით სტუმარმა, — და ამიტომ გეახელით.

— გაყიდეთ მერე, ვინ დაგიშალათ?

— ბაზარში გავიყვანდი, მაგრამ ზოოპარკმა მინდა შეიძინოს.

— რატომ მაინც და მაინც ზოოპარკმა?

— არ მინდა ისინი სამუდამოდ დავკარგო, აქ როცა მომესურვება, შემოვივლი და ვნახავ.

— რა მოგესურვება, თაგვები, კაცო?

— ჰო, თაგვები, — ცრემლები მოადგა დიტოს.

— მასე თუ გიყვართ, რატომღა ყიდით?

— აბა, ბიზნესი რით გავაკეთო? ბანკმა კრედიტი არ მომცა, სხვა კი არაფერი მაბადია. მოგეხსენებათ, დღეს რაღაც ბიზნესი თუ არა გაქვს, ვერ იცხოვრებ.

— არა, თაგვებს ვერ ვიყიდით, — მოკლედ მოუჭრა მელოტმა.

— რატომ?

— ამას რა კითხვა უნდა, ხალხი ზოოპარკში ვეფხვებისა და ნიანგების სანახავად აღარ შემოდის და თაგვებით ვინ დაინტერესდება?

— რას ამბობთ, ჩემი თაგვები ისეთი კულტურული და ელეგანტურები არიან, ბავშვებმა ერთხელ თუ მოკრეს თვალი, აღარ მოეშვებიან.

— კარგით ერთი, თაგვი და ელეგანტური სად გაგონილა?

— აი, პირადად გაიცნობთ და დარწმუნდებით. თანაც როგორი თვალმახარები არიან: იასამნისფერი, ზამბახისფერი, ზურმუხტისფერი, თქვენ წარმოიდგინეთ, მკვდარი ზღვისფერი თაგვებიც კი მყავს. თქვენ რომელიც მოგეწონებათ, იმას შეგირჩევთ.

— მდაა, საინტერესოა, — დაამთქნარა მენეჯერმა.

— აბა რა გგონიათ, ამერიკიდან ჩამოვიყვანე, ნამდვილი დემოკრატები არიან, თანაც, იუმორისტი დემოკრატები.

— იუმორისტი? — გაიკვირვა მელოტმა, — კი მაგრამ ამას როგორ გამოხატავენ?

— კბილების კაწუნით და კუდის ქიცინით, თუ რამე სამხიარულოს მოკრეს ყური, სიცილით ბჟირდებიან და თუ რამე არ მოეწონათ, მაშინვე აკრუსუნდებიან.

— მაინც რა არ მოსწონთ?

— აი, პუტინის კრიტიკაზე, მაგალითად, ძალიან ნერვიულობენ.

— რატომ, არარუსული ორიენტაციისანი არიან?

— არა, უბრალო მეოცნებენი.

— არ გამოვა, — გააქნია თავი მენეჯერმა.

— რატომ?

— ეს ზოოპარკია, ჩემო ძმაო, პარლამენტი კი არა, რომ ცხოველები გალიებში პარტიულობის მიხედვით დავაჯგუფოთ. ჩვენ პოლიტიზებული თაგვები არ გამოგვადგებიან.

— თქვენ ასე ფიქრობთ?

— რა თქმა უნდა, ზოოპარკში უამრავი ადამიანი შემოდის, ზოგს პუტინი მოსწონს, ზოგს სააკაშვილი, მე თაგვების ხუშტურს სად ვუყურო?

— არა, ოპოზიციაში კი არავის ჩაუდგებიან, — დაამშვიდა დიტომ, — როგორც ხელისუფლება მოისურვებს, ისე მოიქცევიან.

— ვთქვათ დაგთანხმდით, — მოლბა მენეჯერი, — მაგრამ როგორც ინდმეწარმე, რეგისტრაციაში უნდა იყოთ გატარებული.

— ეგ რაღა საჭიროა?

— აბა, საგადასახადო რომ მკითხავს თაგვები ვისგან შეიძინეო, რა საბუთი წარვუდგინო?

— აკი მეწარმედ გახდომის პროცედურა ძალიან გამარტივდაო?

— ეს სიტყვით, მაგრამ საქმით ასეა.

— როგორ, კაცო, — წამოენთო დიტო, — ბენდუქიძემ მთელი ქვეყნის მიწები გაყიდა და მე თაგვები ვეღარ გავყიდო?

— თქვენ ბენდუქიძეს რას უყურებთ, იმან სახელმწიფო მიწები გაყიდა, ჩემო ბატონო, თქვენ კი საკუთარ თაგვებს ყიდით. ბიზნესის კეთებას თუ აპირებთ, ამ ანბანურ ჭეშმარიტებაში უნდა ერკვეოდეთ. ალბათ, იმის ცოდნაც დაგჭირდებათ, რომ თაგვები განბაჟებული უნდა იყოს.

— ბენდუქიძეს რა, მიწები განბაჟებული ჰქონდა?

— აკი მიგანიშნეთ, კანონებში ვერ ერკვევით, მიწები ადგილობრივია და განბაჟება არ სჭირდება, თქვენ კი თაგვები საზღვარგარეთიდან ჩამოიყვანეთ.

— საზღვარგარეთიდან დედ-მამა ჩამოვიყვანე, ჩემო ბატონო, თორემ ისინი, თქვენ რომ უნდა მოგყიდოთ, წმინდა სისხლის ორიგინალები არიან.

— არ ვიცი, შენი თაგვების გულისთვის კანონს ვერ შევეკამათები, თაგვები განბაჟებული უნდა იყოს, მორჩა და გათავდა!

— ზოოპარკში ყველა ცხოველი განბაჟებული გყავთ?

— რა თქმა უნდა, ცხოველებიც და ფრინველებიც. ამას წინათ ერთი შაშვი აღმოგვიჩინეს განუბაჟებელი და დირექტორი ეგრევე მიახსნეს.

— იქნებ ახალმა დირექტორმა მომცეს თანხმობა?

— არა, ბატონო, არა, კაცი ახალი დანიშნულია და თაგვის გულისთვის თავს გაიფუჭებს?

დიტო დაძმარებული გამოვიდა ზოოპარკიდან. მიდიოდა შინ და ფიქრობდა: ეს სადაური დემოკრატიაა, ქვეყანა დათვების, მგლების, ტურების, მელიების ბიზნესმა შეჭამა, თაგვების ბიზნესი კი არავის უნდა, არა, ძმაო, ასე თუ გაგრძელდა, მცირე ბიზნესი სულს ვერასოდეს მოითქვამს.

**ოტია ჩართოლანი**

## ⦿ სტუმარი

# სპორტის მინისტრი და „რასინგის“ პრეზიდენტი „დინამოს“ ბაზას ეწვივნენ



**თბილისში სტუმრად ესპანური საფეხბურთო კლუბის სანტანდერის „რასინგის“ პრეზიდენტი ანხელ ლავინ იგლესიასი იმყოფებოდა. მას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი მასპინძლობდა.**

ვიზიტის ფარგლებში ესპანელმა სტუმარმა ყიფიანთან ერთად დიღომში მდებარე თბილისის „დინამოს“ საწვრთნელი ბაზა დაათვალიერა. სტუმრებს „დინამოს“ დირექტორმა მამუკა მახათაძემ უმასპინძლა. თბილისელთა ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, ანხელ ლავინ იგლესიასი ნანახით სასიამოვნოდ გაკვირვებული დარჩა.

აქვე გეტყვით, რომ „რასინგი“ ესპანეთის სეგუნდა B დივიზიონში გამოდის.

**საკუთარი ინფორმაცია**

## ⦿ 4 წლით

# კალათბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი



**საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტად მიხეილ გაბრიჩიძე აირჩიეს. მას კალათბურთის ფედერაციის ყრილობის 29 დელეგატმა მისცა ხმა (სულ არჩევნებში 40 დელეგატიდან 32 მონაწილეობდა).**

გაბრიჩიძე აღნიშნულ თანამდებობაზე ბესიკ ლიპარტელიანს შეცვლის და კალათბურთის ფედერაციას 4 წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს.

ამასთან, გუშინ პროსტესტის ნიშნად კანდიდატურა მოხსნა მიხეილ ახვლედიანმა, ხოლო კახა შენგელიამ და ვლადიმერ ბოისამ – გაბრიჩიძის სასარგებლოდ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## ⦿ ჭიდაობა

# „კლასიკოსთა“ ბოლო აკორდი

**სასპორტო კომპლექს „არენაში“ დამთავრდა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატი. მედლების კომპლექტი განაწილდა სამ დარჩენილ წონით კატეგორიაში. 60 კილოგრამში 18 მოჭიდავე იბრძოდა მედლებისთვის. ყველას ქუთაისელმა ლაშა გოგიტაძემ აჯობა.** საქართველოს 2012 წლის ჩემპიონმა ტიტული ფინალში გამოცდილი ზვიად ოქრაძის ძლევით (2:2, 9:2) შეინარჩუნა. 74 კილოში საქართველოს შარშანდელმა ჩემპიონმა და ევროპის ვერცხლის პრიზიორმა ზურაბ დათუნაშვილმა ზედიზედ სძლია ილია გულბათაშვილს, გიორგი ჯავახიას, ზურაბ ცინცაძეს, ფინალში კი გოგა აფრიამაშვილს აჯობა და ისევ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ლონდონის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი მანუჩარ ცხადაია მესამე ადგილს დასჯერდა. 96 კილოში ტიტული ვერ შეინარჩუნა იოსებ ჯაბიძემ – ევროპის შარშანდელმა მესამეადგილოსანმა ფინალური ორთაბრძოლა ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონ ვასილ იმერლიშვილთან დათმო. საქართველოს „კლასიკოსთა“ ნაკრები 2014 წლის ევროპის პირველობისთვის, სავარაუდოდ, ქვეყნის ჩემპიონებით დაკომპლექტდება.



**კვარცხლბეკი**

**60 კგ.** 1. ლაშა გოგიტაძე (ქუთაისი), 2. ზვიად ოქრაძე (აჭარა), 3. რამაზ სურმანიძე (აჭარა), ქემალ ხარაბაძე (აჭარა).

**74 კგ.** 1. ზურაბ დათუნაშვილი (თბილისი). 2. გოგა აფრიამაშვილი (ადიგენი), 3. მანუჩარ ცხადაია (ხობი), ილია გულბათაშვილი (თბილისი).

**96 კგ.** 1. ვასილ იმერლიშვილი (რუსთავი), 2. იოსებ ჯაბიძე (ბაღდათი), 3. არსენ კახაბრიშვილი (გარდაბანი), ირაკლი ქაჯაია (წყალტუბო).

**ლექსო ცინცაძე**

## ⦿ ფეხბურთი

# რეკორდები, „წითლები“ და... თოვლი

**ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის შედეგიანობის რეკორდი ამიერიდან კრიშტიანუ რონალდუს ეკუთვნის, რომელმაც დანიაში მე-9 ბურთი გაიტანა. „სამეფო კლუბის“ ლიდერს პირადი მონაგრის დამრგვალებაც შეეძლო, მაგრამ მასპინძელთა კარში დანიშნული პენალტი ვერ გამოიყენა.**

როგორც უკვე გაუწყეთ, წინა ტურში მიუნხენის „ბაიერნმა“ ზედიზედ მე-10 მატჩი მოიგო. ბუნებრივია, რეკორდმაისტერი თამასის კიდევ უფრო მაღლა ასაწევად ზრუნავდა და „სიტისთან“ ბრძოლაში დებიუტშივე დაწინაურდა ორბურთიანი უპირატესობით, მაგრამ...

როგორც ყველაფერს ამქვეყნად, ბავარიელთა მიღწევასაც დაესვა წერტილი. ის კი არა, ბოლო წუთზე ნეგრედომ დანტეს აპატია უხეში შეცდომა, თორემ ჯგუფში პირველ ადგილსაც დათმობდა ხოსეპ გვარდიოლას გუნდი.



წარმატებით გადაჭრეს ლოკალური ამოცანები „ოლიმპიაკოსმა“ და „პლზენმა“, თუმცა მათ მეტოქეებმა შეუწყვეს ამაში ხელი – „ანდერლეხტს“ და ცსკა-ს, შესაბამისად, 2 და 1 მოთამაშე გაუძევეს.

რაც შეეხება დღის ცენტრალურ შეხვედრას, სტამბოლში ისე ხვავრიელად ბარდნიდა, რომ პორტუგალიელი მსაჯი პროენსა იძულებული გახდა „გალათასარაი“ – „იუვენტუსის“ დუელი 30-ე წუთზე შეეწყვიტა. გუშინ გადათამაშება თურქებმა მოიგეს – 1:0 (სნეიდერი).

**„ა“ ჯგუფი.** „მანჩესტერი“ – „შახტარი“ 1:0, „სოსიედადი“ – „ლევერკუზენი“ 0:1.

„მანჩესტერი“ – 14, „ლევერკუზენი“ – 10, „შახტარი“ – 8, „სოსიედადი“ – 1 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** „კოპენჰაგენი“ – „რეალი“ 0:2, „გალათასარაი“ – „იუვენტუსი“ 1:0.

„რეალი“ – 16, „გალათასარაი“ - 7, „იუვენტუსი“ – 6, „კოპენჰაგენი“ – 4-4 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** „ოლიმპიაკოსი“ – „ანდერლეხტი“ 3:1, „ბენფიკა“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 2:1.

„პარი სენ-ჟერმენი“ 13, „ოლიმპიაკოსი“, „ბენფიკა“ – 10-10, „ანდერლეხტი“ – 1 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** „ბაიერნი“ – „სიტი“ 2:3, „პლზენი“ – ცსკა 2:1.

„ბაიერნი“, „სიტი“ – 15-15, „პლზენი“, ცსკა – 3-3 ქულა.

**გიორგი შოთაძე**

## ⦿ ხელბურთი

# შვიდი გუნდი უკვე პლეიოფშია



**სერბეთში მიმდინარე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატზე ხელბურთში ჯგუფური ტურნირის მესამე დღის შემდეგ მერვედფინალში გასვლა შვიდმა გუნდმა გაინაღდა.**

საფრანგეთმა მეორე ტაიმში გატეხა ჰოლანდია (23:19) და მონტენეგროსთან ერთად 3 მოგებით ლიდერობს A ჯგუფში.

B ჯგუფში ბრაზილიასთან დამარცხდა მასპინძელი, სერბეთის გუნდი – 23:25. სერბები მთელი თამაშის განმავლობაში მდევრის როლში იყვნენ, სირენამდე 10 წუთით ადრე ანგარიშიც გაათანაბრეს – 21:21, მაგრამ მეტი ველარ მოახერხეს.

5-5 გოლით ბრაზილიის გუნდში ყველაზე შედეგიანები იყვნენ გარემარბი ალესანდრა ნასიმენტო და ინსაიდი ედუარდა ამორიმი. ამავე ჯგუფში 3 მოგება დანიის ნაკრებს აქვს.

C ჯგუფში წაუგებელი მხოლოდ მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი ნორვეგიაა, ხოლო D ჯგუფში – უნგრეთი და გერმანია. გერმანელებმა პრინციპული მატჩი მოუგეს რუმინეთს (26:23), ხოლო ჩეხეთმა ტუნისი 28:24 დაამარცხა და შესაძლოა, სწორედ ამ მოგების წყალობით მოხვდეს მერვედფინალში.

**მანუჩარ გიორგაძე**

## ⦿ ავტოსპორტი

# ტოდტი ისევ პრეზიდენტია

**როგორც მოსალოდნელი იყო, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) პრეზიდენტი ისევ ჟან ტოდტი გახდა. მისი გამარჯვება ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ გახდა უეჭველი, მას შემდეგ, რაც მისმა ერთადერთმა რეალურმა მეტოქემ დევიდ უორდმა თავისი კანდიდატურა მოხსნა.**

ამის მიზეზად უორდმა მხარდამჭერთა ნაკლებობა დაასახელა და თავისი საარჩევნო კამპანიის შეწყვეტისთანავე ტოდტს გამარჯვება მიულოცა.

ტოდტი, რომელიც ახლა 67 წლისაა, ფედერაციამ თავის გენერალურ ასამბლეაზე, რომელიც პარიზში ჩატარდა, პრეზიდენტად ზედიზედ მეორე ოთხწლიანი ვადით აირჩია. ცნობისათვის: თავის დროზე ტოდტი „პეჟოს“ რალის პროგრამის შეფი იყო, შემდეგ კი „ფერარის“ ფორმულა ერთის გუნდს ჩაუდგა სათავეში, რომელსაც სწორედ მისი ხელმძღვანელობისას ყველაზე წარმატებული პერიოდი ჰქონდა. მიხაელ შუმახერმა თავისი შვიდი ტიტულიდან ხუთი სწორედ ტოდტის „ფერარიში“ მოიპოვა.




**ბეჟან დოლიძე**

## ⦿ ინტერნეტიდან

# გამოუსწორებელი ბელენ როდრიგესი

**არგენტინელი მოდელი ბელენ როდრიგესი, რომელიც თავის დროზე არაერთი ცნობილი არგენტინელი თუ იტალიელი სპორტსმენის საყვარელი გახლდათ, მკერდის კიბოს საწინააღმდეგო კამპანიაში ჩაება და ლათინურ ამერიკაში ამ დაავადების წინააღმდეგ მებრძოლთა სახე გახდა.**

შეგახსენებთ, რომ მკერდის კიბოს წინააღმდეგ მსოფლიოში ცნობილი მოდელები, მსახიობები და სპორტსმენები იბრძვიან. ეს ადამიანები, გარდა იმისა, რომ საკმაოდ სოლიდურ შემოწირულობებს რიცხავენ სპეციალურ ფონდში, საკუთარ ცნობადობასაც მოძრაობის გასაპიარებლად იყენებენ.

ბელენ როდრიგესი აბა რისი სკანდალური ლამაზმანი იქნებოდა, ასეთ კეთილშობილურ საქმეშიც საკუთარი პერსონის რეკლამა რომ არ მოეხდინა. ერთ-ერთი აქციის დროს ამ მშვენიერმა ქალბატონმა ტელეკამერების წინ მკერდი მოიშიშვლა და ამაყად განაცხადა, რომ მას არ ეშინია მკერდის კიბოსი, რადგან ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობს. შენ ჯანსაღი ეძახე და...



**როსტომ რაჭველიშვილი**

## საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის განცხადება

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, აგრარულ სფეროში 2013 წლის საუკეთესო მეცნიერის წოდება დარგების მიხედვით მიენიჭათ:**

— აგრონომიულ დარგში — სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტს **ოთარ ლიპარტელიანს;**

— მეცხოველეობის, საკვებწარმოების, ვეტერინარიის და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების დარგში — სსმმ აკადემიის აკადემიკოს **გოგოთურ აგლაძეს;**

— აგროსაინჟინრო დარგში — სსმმ აკადემიის აკადემიკოს **შოთა ჭალაგანიძეს;**

— ეკონომიკის დარგში — სსმმ აკადემიის აკადემიკოს **ომარ ქეშელაშვილს.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო ულოცავს გამოჩენილ მეცნიერებს საპატიო წოდების მინიჭებას.

**გურამ ალექსიძე,**
**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი.**

**◎ ინფორმაცია**

## მიუსაფართა დროებითი თავშესაფარი კარვები იქნება

**— ამის შესახებ გადაწყვეტილება მიუსაფართა პრობლემების მოგვარებაზე მომუშავე უწყებათაშორისმა ჯგუფმა მიიღო.**

**როგორც ჯგუფის შეხვედრის დასრულების შემდეგ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ განაცხადა, გადაწყდება, თუ სად დაიდგმება კარვები.**

**მისივე ინფორმაციით, კარვები 20-კაციანი იქნება. კარვების მიწოდებას თავდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს.**

**მისივე თქმით, რაც შეეხება რეგიონებს, ნარმანიას განცხადებით, ბათუმში ბათუმის მერია იზრუნებს აღნიშნულ საკითხზე, ხოლო ქუთაისიდან და რუსთავიდან ამ დროისათვის სამუშაო ჯგუფი ინფორმაციას ელოდება.**

**ნარმანიას თქმით, კარვები, რომლებიც მიუსაფარი პირებისთვის მოეწყობა, გათბობითა და კვებით იქნება უზრუნველყოფილი.**

**მიუსაფართა თავშესაფარში განთავსებულ პირებს სამედიცინო დახმარებას ადგილზევე გაუწევენ.**

**თავშესაფრებთან ადგილზევე იქნება სადღეღამისო სამორიგეო ამბულატორიული პუნქტი, რომელიც მუდმივმომქმედ რეჟიმში ჩაუტარებს დახმარებას მიუსაფარ თავშესაფარში მყოფ პირებს.**

## ამოღებულია ვადაგასული სურსათი

**სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოების წარმომადგენლებმა ახმეტაში, საგარეჯოსა და ბოლნისში ვადაგასული სურსათის რეალიზაციის ფაქტები გამოავლინეს.**

**სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ახმეტაში ი.მ „გიორგი ფარეულიძის“, ი.მ „მედეა სეხნიაიძის“, ი.მ „დარიკო ჩარხოშვილისა“ და ი.მ „გიორგი იდიძის“ სასურსათო მაღაზიებიდან ამოღებულია სხვადასხვა დასახელების მცენარეული ცხიმი, ტომატ-პასტა, მაიონეზი, ხორცის ფარში, პომიდვრის პიკული, ორცხობილა, რულეტი, „გალინა ბლანკა“;**

**საგარეჯოში — ი.მ „მაია დოლენჯაშვილისა“ და ი.მ „ნანა როსტომაშვილის“ მარკეტებიდან — სხვადასხვა დასახელების ლუდი, ლიმონათი, ორცხობილა, მაწონი;**

**ბოლნისში, ი.მ „მარეტა სტეფანიანის“ მარკეტში გამოვლინდა ვადაგასული კარაქი, მარგარინი, საბავშვო სოსისი.**

**ამოღებული სურსათი დაილუქა და კანონმდებლობის შესაბამისად განადგურდება.**

**ინტერპრესი**

**სულთათანა**

## ვახტანგ კვარაცხელია



82 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე **ვახტანგ აქსენტის ძე კვარაცხელია**.

იგი 1931 წლის 5 იანვარს დაიბადა ქ. ზუგდიდში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. უმაღლესი ფილოსოფიური განათლება მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ტექნოლოგის სპეციალობა შეიძინა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში. დამთავრებული ჰქონდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი სკოლა. იყო ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ლოგიკის, გლობალისტიკის საკითხებთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ჰქონდა 31 ნაშრომი. 14 ნაშრომი გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ. იგი გახლდათ გლობალისტიკის პირველი ენციკლოპედიის მომზადებისა და გამოცემის დასავლეთის ქვეყნების მეცნიერთა ჯგუფში ერთადერთი წევრი საქართველოდან. ბატონ ვახტანგს ბატონ ედუარდ კოდუასთან ერთად გამოცემული აქვს მარქსისტული ფილოსოფიის სამტომეული.

ბატონი ვახტანგი ახალგაზრდობიდან დაწყებული, სიცოცხლის ბოლომდე ყოველთვის იყო მიმდინარე მოვლენების შუაგულში და ღირსეულად ემსახურებოდა საკუთარ ხალხს, სამშობლოს. გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით, მაღალი პასუხისმგებლობითა და პრინციპულობით. ეს თვისებები შეუმჩნეველი არ რჩებოდა და სხვადასხვა საპასუხისმგებლო პოსტებზე მისი დაწინაურების საწინდარი ხდებოდა.

ბატონი ვახტანგი 1954-1960 წლებში მუშაობდა კომკავშირულ სამუშაოზე ზუგდიდში, სხვადასხვა დროს იყო „ენგურქაღალდკომბინატის“ პარტიული კომიტეტის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ხონის რაიკომების პირველი მდივანი, 1987-90 წლებში — საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი, პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის დირექტორი, დასავლეთ საქართველოს ზონის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომრის - სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის დირექტორი.

ბატონი ვახტანგი არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამი მოწვევის დეპუტატად და სკკპ XXVI ყრილობის დელეგატად. დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის სამი სხვადასხვა სახის უმაღლესი ორდენით და დამოუკიდებელი საქართველოს ღირსების ორდენით.

წავიდა ჩვენგან, ზეციურ სასუფეველში, თავის ხალხზე, მეგობრებზე, ოჯახზე შეყვარებული ადამიანი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. მსუბუქი იყოს მისთვის ოდიშის მიწა.

**ო. ფაცაცია, ნ. ჭითანავა, ფრ. თოდუა, გრ. კვარაცხელია, ი. ჩიქავა, გ. ნაჭყებია, გ. ლომინაძე, გ. გუნავა, რ. ჯახია, ბ. გულუა, ბ. ჯიქია, ი. ქობალია, ო. ჭითანავა, ი. გუგუჩია, ჯ. კალანდაძე, ვ. ჭანტურია, ზ. გოგოხია, ლ. ჭითანავა, შ. მგალობლიშვილი.**

**კვარაცხელიების საგვარეულო კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გამორჩეული მამულიშვილი და გვარიშვილი**

**ვახტანგ აქსენტის ძე კვარაცხელია**

**და გულითად თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**შალვა მგალობლიშვილი ოჯახით მწუხარებას გამოხატავს ღირსეული მოქალაქის, გამორჩეული პიროვნების**

**ვახტანგ კვარაცხელიას**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

## თბილისის ზოოპარკში თეთრი ლომის ბოკვერები დაიბადნენ

**ზოოპარკის ადმინისტრაციის ინფორმაციით, დაიბადა 4 ბოკვერი და ოთხივე კარგად გრძნობს თავს.**

— პატარები ცალკე გამოვიყვანეთ, რადგან მათი დედა კლეოპატრა, გამოუცდელობის გამო ბოკვერების მოვლას თავს ვერართმევდა, ამას ზამთრის სიცივეებიც დაემატა, რომელიც პატარებისთვის ძალიან საშიშია. ბოკვერები მათთვის სპეციალურად მოწყობილ თბილ ოთახში ბინადრობენ და ჩვენი თანამშრომლების მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან. ძალიან გახარებულები ვართ, ზოოპარკის სახელით ყველას გილოცავთ საქართველოში თეთრი ლომების დაბადებას და იმედი გვაქვს ოთხივე ჯანმრთელი გაიზრდება, — აცხადებენ ზოოპარკში.

რაც შეეხება ზოგადად თეთრ ლომს, ძალიან იშვიათი ცხოველია და ბუნებაში ძირითადად კრიუგერის ნაციონალურ პარკსა და ტიმბავიტის დაცულ ტერიტორიებზე ბინადრობს, თუმცა, დღეს ბუნებაში საერთოდ გამქრალია და აღარ ფიქსირდება.



როგორც ზოოპარკის ადმინისტრაციაში აცხადებენ, თეთრი ლომი მსოფლიოს 70-მდე ზოოპარკში ბინადრობს, ამიტომ საქართველოში მათი გამრავლება ძალიან მნიშვნელოვანია მათი გადარჩენისთვის.

**◎ ვითარება**

# სკანდალი კეთილშობილ ოჯახში

**შუა აზიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მუდამ „ფეოდალური სიმშვიდე“ რომაა, წლების მანძილზე ამას ყველა მიეჩვია. ავტორიტარული რეჟიმები ქვეყნებს თავიანთ გემოზე მართავენ, მოსახლეობა კი საკუთარი პარალელური ცხოვრებით ცხოვრობს. მაგრამ მოულოდნელად უცხო თვალით დანახულ მშვიდ უზბეკეთში მეხის გავარდნასავით ჭორი გავრცელდა — წლების მანძილზე ქვეყნის უცვლელმა ლიდერმა ისლამ კარიმოვმა სპეცსამსახურებს ანტიკორუფციული გამოკვლევის დაწყება... საკუთარი ქალიშვილის, გულნარა კარიმოვას მიმართ უბრძანა! მეტიც: ბოროტი ენები ამბობდნენ, რომ მან ქალიშვილი პირადად სცემა და აი, რას წერს ამ სკანდალის შესახებ ჟურნალ „ფორბსის“ ყაზახეთის წარმომადგენლობა.**

2013 წლის სექტემბერში სპეცსამსახურებმა პრეზიდენტ კარიმოვს მის დისწულ აკბრალი აბდულაევზე კომპრომატი, კერძოდ ვიდეოფირები წარუდგინეს, რომლებზეც ის თავის მეგობრებს ეუბნება, რომ თუკი გულნარა მამის საქმის გაგრძელებას არ მოისურვებს, ამ საქმეს მას „გადააბარებს“. თავად გულნარაც, პრეზიდენტის უფროსი ქალიშვილი, რომელსაც ბიძაშვილთან ძალიან ახლო ურთიერთობა აქვს, თურმე ხშირად ამბობდა იგივეს. განრისხებულმა ისლამ კარიმოვმა ძმისწულზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ბრძანა, რამაც გულნარა ლამის ჭკუიდან გადაიყვანა...

უზბეკეთის სპეცსამსახურების თავკაცმა რ.ინოიატოვმა პრეზიდენტ კარიმოვს დოსიე წარუდგინა, რომელშიც მისი უფროსი ქალიშვილის ყველა ფინანსური დანაშაულია აღნუსხული. მათ შორის აღნიშნულია, რომ პრეზიდენტის დისწულს დაქვემდებარებული



მრავალი კომპანია, მათ შორის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნები, საფეიქრო ფაბრიკები, სასტუმროთა ქსელები, პატიოსანი თვლების საწარმოები და მრავალი სხვა, გულნარა კარიმოვას ყოველთვიურად წილის სახით 50-დან 70 მილიონ დოლარამდე უხდიდნენ! გარდა ამისა, თავისი ფონდის „ფორუმის“ ეგიდით გამართულ ფესტივალებს, გალა-კონცერტებს და ა.შ., მცირე და საშუალო ბიზნესის გარდა, ყოველწლიურად 16 მილიონი დოლარით სახელმწიფო ბიუჯეტიც „ასპონსორებდა“.

გამწარებულმა პრეზიდენტმა გენერალ ინოიატოვს ხელის ტელეფონი ესროლა და სასწრაფოდ მმართველი ელიტის შეკრება უბრძანა...

პრეზიდენტმა კარიმოვმა გენერალ ინოიატოვს ქალიშვილის ყველა უახლოესი მეგობრის დაპატიმრება, ყველა ტელე და რადიოარხის ეთერის შეწყვეტა, ასევე ფონდ „ფორუმის“ მოღვაწეობის კომპლექსური შემოწმება უბრძანა. ეროვნული უშიშროების სამსახურმა კი პრეზიდენტის ქალიშვილის სახის ტელევიზიით ჩვენება აკრძალა.

... განრისხებულმა მამამ ქალიშვილს ჯერ სილა გააწნა, შემდეგ კი მაგრად სცემა: „ქვეყანაზე თავი მომჭერი! ეს რა ფოტოებია? ტელეკამერების წინ ნახევრად შიშველი რომ გამოდიოდი, ოჯახზე, დედაშენზე რას ფიქრობდი?“

ჟურნალ „ფორბსში“ გულნარა კარიმოვას შესახებ შემდეგი ცნობებია მოყვანილი: იგი 41 წლისაა, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი. 23 წლის ასაკში უზბეკეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა. მანამდე აშშ-ის, რუსეთის, ესპანეთისა და შვეიცარიის დიპლომატიურ წარმომადგენლობებში მუშაობდა. ამჟამად დიზაინით, საიუვილერო ნაკეთობათა წარმოებით და საზოგადოებრივი მოღვაწეობითაა დაკავებული. მას უზბეკეთის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ქალბატონად მიიჩნევენ, რომლის ქონება 570-დან 670 მილიონ დოლარამდეა. ავღანელი ეთნიკური უზბეკისგან მანსურ მაქსუდისგან ქალ-ვაჟი ჰყავს, ქმარს იგი დიდი ხანია გაცილდა, რომლის მიმართ უზბეკეთში ერთბაშად რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

## ◉ მშვენიერი სქესი

# სილამაზის ასაკი და... დღე

**ბრიტანული კოსმეტიკური ფირმის „სენ-ტროპეზის“ მედიკოსები ქალბატონებს აფრთხილებენ: ზოგიერთ დღეებში და საათებშიც კი უმჯობესია ისინი მამაკაცებს საერთოდ არ დაენახონ!**

**მკვლევარებმა დაადგინეს, რომ კვირის დღეებს შორის ქალბატონებისთვის ყველაზე არახელსაყრელია ოთხშაბათი, რადგან სწორედ ამ დროისთვის მათ სახეებზე ყველაზე მეტი ნაოჭი წარმოიქმნება.**



ნაოჭები წინა სამუშაო დღეებში დაგროვილი სტრესების შედეგია, რომელსაც დასვენების დღეების „ნარჩენი მოვლენები“, გაღიზიანება და გადაღლა ემატება. აღსანიშნავია, რომ **სტრესები და განცდები სწორედ ოთხშაბათობით იჩენს ხოლმე თავს,** რაც გამოკითხვაში ორი ათასი მონაწილე ქალბატონიდან თითქმის ყველამ აღნიშნა.

ლონდონის ინტენსიური მედიცინის სპეციალისტებმა კი დღე-ღამის ის დრო განსაზღვრეს, როცა ქალბატონები გარეგნულად ყველაზე შეუხედავნი არიან. **ბიორიტმების გამო, ქალებს ნაოჭები უღრმავდება და თვალები უსივდებათ 16 საათისთვის და ეს პერიოდი დაახლოებით ერთ საათს გრძელდება.**

მაშ ასე, ოთხშაბათობით, 16-დან 17 საათამდე, ჩვენო ძვირფასებო, რაგინდ კოხტად ჩაცმულიც უნდა იყოთ და მაკიაჟიც სრულყოფილი გქონდეთ, უმჯობესია...

თუმცა, მედიკოსები მიღწეული შედეგით არ დაკმაყოფილდნენ, კვლევები განაგრძეს და დაადგინეს, რომ **ქალბატონებისთვის კვირის საუკეთესო დღე პარასკევი ყოფილა, როცა მათი უმრავლესობა თავს საუცხოოდ გრძნობს,** რის შესახებ გამოკითხულ რესპონდენტთა 60 პროცენტმა განაცხადა.

„სიხარულის პარასკევის“ მიზეზები მკვლევართათვის გამოცანად დარჩა. იქნებ თანამედროვე ქალბატონთა წინაპარი მანდილოსნებიც ამ დღეს მომავალი უქმეებისთვის ემზადებოდნენ? თუ ქალბატონთა სახის კანზე ასე კარგად წინა ღამით სასიყვარულო ურთიერთობების დროს გამომუშავებული ენდორფინები მოქმედებენ? **როგორც კვლევის მსვლელობისას გაირკვა, სექსუალური ლტოლვა ქალებს რატომღაც ხუთშაბათობით განსაკუთრებით ულვივდებათ.**

მაინც რა ასაკში არიან ქალები ყველაზე ლამაზები? ბრიტანელი სოციოლოგების გამოკითხვის შედეგებს თუ ვენდობით, რომელშიც ორივე სქესის რამდენიმე ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა, **ყველაზე მომხიბლავები ქალბატონები 30-31 წლის ასაკში ხდებიან.** ამას მეცნიერები იმით ხსნიან, რომ **ამ ასაკისთვის ისინი უკვე იშორებენ მოზარდობისა და სიყმაწვილის კომპლექსებს, უფრო ლაღები, ეშხიანები და, ამავდროულად, ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდები რჩებიან.**

სხვათა შორის, დაახლოებით ოცდაათწლიან ზღვართან ახლოს მდებარეობს ის ხანა ქალის ცხოვრებაში, როცა ის ყველაზე მეტად ბედნიერად გრძნობს თავს— ეს დასკვნა კოსმეტიკური კომპანიის Cliarol Perfecz-ის სპეციალისტების გამოკვლევის შედეგია, რომელშიც 25-დან 65 წლამდე ასაკის მშვენიერი სქესის ოთხი ათასი წარმომადგენელი მონაწილეობდა.

უფრო კონკრეტულად კი შედეგი ასეთია: **სექსით ყველაზე კმაყოფილნი ქალები 28 წლის ასაკში არიან; კარიერაში მიღწეული წარმატებებით კმაყოფილნი — 29 წლის ასაკში; პირადი ცხოვრებით კმაყოფილნი —30 წლის ასაკში; 32 წლის ქალები უკვე ოჯახით მეტად ხარობენ, 33 წლისანი კი მიღწეული ფინანსური დამოუკიდებლობით ტკბებიან.**

საბოლოო ანგარიშით შეიძლება განვსაზღვროთ, რომ, ასე ვთქვათ, ქალის „სილამაზის ასაკი“ და ცხოვრების ყველაზე ბედნიერი ხანა ერთმანეთს დაახლოებით ემთხვევა.

**ნინო ალექსანდრია**

## ◉ ჩვენი პრესდაიჯესტი

### ჟურნალ-გაზეთებიდან



### „ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდება!“

— ირწმუნება „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე და პრემიერ-მინისტრს ურჩევს, რომ „ქართულ ოცნებაში“ შემავალ პარტიებს დროზე გაემიჯნოს, თორემ მისი რეიტინგი დაეცემა.

— ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ შეთქმულების მზადებაში „რესპუბლიკური პარტიის“ როლი იკვეთება, რომელთაც სურთ, ხელისუფლების წინააღმდეგ რაც შეიძლება მეტი უკმაყოფილება დაითესოს, ამით თავად ისარგებლებენ და ხელისუფლებაში მოვლენ. თვითმმართველობის კოდექსის ის ვარიანტი, რომელსაც დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა, სწორედ „რესპუბლიკელების“ „შემოქმედებაა“. ასეთი ქმედებები ერის ღალატის ტოლფასია.

**„ქართული სიტყვა“**

### „კულტურული ავტონომია აუცილებლად გადაიზრდება სეპარატიზმში“

— გვაფრთხილებს უზენაესი საბჭოს დეპუტატი თენგიზ დიხამინჯია, — თვითმმართველობის შესახებ ეს კანონპროექტი ქვეყნის ერთიანობას დიდ საშიშროებას უქმნის. ეს პროექტი, ალბათ, „თავისუფლების ინსტიტუტის“ ლაბორატორიაა, დანარჩენები, უბრალოდ, ბუტაფორიის როლს ასრულებენ... როდესაც გამარჯვებულმა მხარეებმა გერმანია აიძულეს ეს ზესახელმწიფო ფედერაციულ მხარეებად დაეყოთ, უნდოდათ, ვერასოდეს გამართულიყო წელში და სერიოზულ სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბებულიყო. ამას ანგლოზაქსები და რუსები აკეთებდნენ. იმ ფაქტმა, რომ გერმანიაში თვითმმართველობის ინსტიტუტები ძალიან მაღალ დონეზე იყო, დიდი გამოცდილება და ეროვნული თვითშეგნება ჰქონდათ, გადაარჩინა ქვეყანა. ის დღეს ევროკავშირის წამყვანი სუბიექტია, გერმანია გერმანიაა, ჩვენთან კი ძალიან დიდია საქართველოს პროვინციებად დაშლის საფრთხე... ამიტომ ამ კანონპროექტის მიღება-არმიღებაში მთელი საქართველო უნდა ჩაერთოს.

**„ახალი თაობა“**

### 34,6 პროცენტი ცოლის ცემას გამართლებულად მიიჩნევს

გაეროს ქალთა ორგანიზაციის დაკვეთით საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტმა ოჯახურ ძალადობაზე საქართველოს რამდენიმე რეგიონში კვლევა ჩაატარა. როგორც გაირკვა, ქალზე ძალადობა კახეთშია ყველაზე მეტად გავრცელებული, სამეგრელოში ყველაზე ნაკლებად. ოფიციალურ სტატისტიკას და წარსულში ჩატარებულ კვლევებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის 90% ქალია, დანარჩენი 10% კი ბავშვები ან ხანდაზმულები. სხვათა შორის, გამოკითხულთა 34,6% ცოლის ცემას გამართლებულად მიიჩნევს.

**„რეზონანსი“**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**299-62-77; 599 32-85-76.**

## ◉ დაიჯესტი

### რძის შხაპი

**მსოფლიოში ახალი მასობრივი გატაცება გაჩნდა: უამრავივ ხალხი ჭკუას კარგავს... მილკინგზე. არავის ეგონოს, რომ მილკინგს ძროხის მოწველასთან რაიმე კავშირი ჰქონდეს (Miek ინგლისურად რძეა), ეს გაცილებით უფრო ექსტრემალური რამაა. მის ჩასატარებლად პაკეტი რძე უნდა შეიძინოთ და რომელიმე საზოგადოებრივ ადგილას ...თავზე გადაისხათ! მთელ პროცესს, რა თქმა უნდა, ფოტოსა და ვიდეოს უღებენ, შემდგომ კი ინტერნეტში განათავსებენ.**

მილკინგი ინგლისის ქალაქ ნიუკასლის სტუდენტებმა მოიგონეს. ეს პროცესი სრული უაზრობაა, თუმცა მის არსს... სწორედ ეს გარემოება განაპირობებს. თურმე, აბსურდული რიტუალი სტრესის მოხსნის საუკეთესო საშუალება ყოფილა. ხოლო თუ ამის ვინმეს არა სჯერა, შეუძლია საკუთრივ სცადოს!

„რძის შხაპმა“ დასავლეთში დიდად პოპულარული პლანკინგი ჩაანაცვლა, რომელიც რომელიმე საგანზე პირქვე დაწოლილის გადაღებას გულისხმობს.

### გაიხანგრძლივეთ ახალგაზრდობა

**ჩაის, როგორც სასმელს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2737 წელს ჩინეთის მეორე იმპერატორმა შენ ნუნგუნმა „ზეციური შთაგონებით“ მიაგნო.**

ამ არაჩვეულებრივ სასმელს ძლიერი სამკურნალო თვისებები აქვს, რადგან ტანინებსა და კატეხინებს შეიცავს, რომლებიც სისხლძარღვთა ელასტიურობას ზრდიან. ჩაი არტერიულ წნევას აწესრიგებს, თავის ტკივილს ხსნის, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღებას უწყობს ხელს, ასევე სიბერის პროფილაქტიკურ საშუალებას წარმოადგენს. იგი უამრავ ვიტამინსა და სასარგებლო მჟავას შეიცავს.

ადამიანის ჯანმრთელობისთვის ჩაი იმდენად მარგებელია, რომ 15 დეკემბერს ჩაის საერთაშორისო დღე აღინიშნება.

## ◉ კადრი



## ◉ ცინცხალი ანეკდოტები

**— თქვენ რა, გაგიჟდით? — უყვირის მთავარი ექიმი სანიტარს, — რატომ უთხარით მეშვიდეპალატელ პარალიზებულ ავადმყოფს, რომ მისთვის ფეხების მოკვეთას ვაპირებთ?**

**— რაო, გაიქცა? — ხარხარებს სანიტარი, — თქვენ კიდევ ამტკიცებდით, განუკურნებელიაო.**

* * *

**დედა, მამა და შვილი დასაძინებლად დაწვნენ.**

**— მოდით, დავიწყოთ! — ეუბნება მამა ცოტა ხნის შემდეგ დედას.**

**— მოიცა, ჯერ ბიჭს არ დაუძინია.**

**12 საათია.**

**— მოდი!**

**— მოიცადე.**

**5 საათზე მამა ადგა, სამზარეულოში შევიდა შამპანურის ბოთლის გასახსნელად და უცებ გაისმის ბახ!!!**



**— რა ქენი, დედი, მიიყვანე ხომ კაცი თვითმკვლელობამდე! — ყვირის ბიჭი.**

* * *

**— მაშ ასე, როდიდან გაგიჩნდათ აზრი, რომ კატა ხართ? — ეკითხება ფსიქიატრი პაციენტს.**

**— ჯერ კიდევ კნუტობის დროიდან.**

* * *

**— რატომ აქვს სპილოს წითელი თვალები?**

**— იმიტომ, რომ პამიდვრებში დამალვა შეძლოს.**

**— ოდესმე გინახავთ პამიდვრებში დამალული სპილო?**

**— მართლაც კარგად იმალება არა?**

* * *

**ბანკის გაძარცვის შემდეგ მთავარი სეიფიდან ორი მილიონი გაქრა.**

**— დაწერეთ, რომ ჩვენი ბანკიდან სამი მილიონი მოიპარეს, — ეუბნება დირექტორი რეპორტიორებს. — იმ ნაძირალას სახლში მაინც ექნება საშინელი სკანდალი.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24